# საერთო გაზეთი

№4 (415) • 8 თებერვალი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## კობა არაბული:
## ტრამპი და საქართველო, ანუ რატომ მეგონა ტრამპის სიტყვა ქართველი კაცის დაწერილი?

ისმის კითხვა და ჩნდება სურვილი: რატომ არ შეუძლია ჩვენს „მეფეებს“ პრეზიდენტებს და პრემიერებს მსგავსი სიტყვის წარმოთქმა? ახლა მაინც ხომ შეუძლიათ გამოიყენონ ტრამპის ეს სიტყვა „შპარგალკად“

## ზაზა შათირიშვილი:
## დიდი სპექტაკლი დამთავრდა! ახლა ძველი დეკორაციების გადაყრის დროა!



მეოცე საუკუნეში დაბადებული სამივე უტოპია - ნაცისტური, კომუნისტური და ლიბერალური - ჩამოიშალა! გილოცავთ! - ახლა ბალახს ბალახი ჰქვია, დედას - დედა და მამას - მამა!

## ვერ დაუჭირა ივანიშვილს მხარი საკუთარმა, მის მიერ შექმნილმა „ოცნებამ“, მის მიერ დასმულმა პრეზიდენტმა უღალატა. დაბოლოს, ისევ ტრამპმა დაუჭირა მხარი და გაიმეორა ზუსტად იგივე, რასაც ივანიშვილი ბრძანებს



## ულვაშ-მოპარსული ქვეყანა და კურდღელი უკრაინული ჩირგვიდან



**სოსო მანჯავიძე:** სახელმწიფომ აირჩია უხელისუფ-ლებობის რეჟიმი - მარგველაშვილს ვინ ჰკითხავს? კვირიკაშვილს ვინ ჰკითხავს? ვის ჰკითხავს, აბა?!

## ვახტანგ დადუნაძე:

დღეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, საპატრულო პოლიციიდან იგივე მაღალჩინოსნებმა გამათავისუფლეს, რომლებმაც 2012 წელს შსს-დან „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისთვის გამომაგდეს

## რატომ უთხრა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ვლადიმერ ხომერიკს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი?

## ვიზალიბერალიზაციის სიკეთეები და საფრთხეები

ქვეყნიდან გაქცევაზეა ის ხალხი, ვინც აქ სამუშაოს ვერ პოულობს და ჰგონია, რომ ევროპაში მიზანს მიაღწევს

# ტრამპი და საქართველო, ანუ რატომ მეგონა ტრამპის სიტყვა ქართველი კაცის დაწერილი?



ამას წინათ ფეისბუკში მკითხეს: რაზე ფიქრობო?“

ვუპასუხე: ქადაგ თარხანათ გაგაზე და ტრამპზე-მეთქი...

ატყდა ერთი ამბავი: რა კავშირში იყვნენ ძველი ფხოვის ნათელმხილველი თარხანათ გაგა და ტრამპი...

თარხანათ გაგამ ერთი საუკუნის წინათ იწინასწარმეტყველა: მთვარის ახალში მოვა წითელი კაცი, არწივის წყალს დალევს და ქვეყანას შეაბრუნებს“ (წაღმა თუ უკუღმა, ეს არავინ იცის).

მე ვერ გეტყვით, „მთვარის ახალში მოსული კაცი“ ტრამპია თუ ვინმე სხვა, მაგრამ გეტყვით იმას, რომ თარხანათ გაგას წინასწარმეტყველებიდან ბევრი რამ ახდა.

* * *

როდესაც ტრამპი საინაუგურაციო სიტყვას წარმოთქვამდა, მეჩვენებოდა, რომ ის იმეორებდა იმას, რასაც მე ვფიქრობდი და გადაეცემოდა ჩემი შინაგანი ენერგიით და ემოციით! **ტრამპის ეს სიტყვა ჩემი, ან ვინმე სხვა ქართველის დაწერილი მეგონა!..**

**ისმის კითხვა და ჩნდება სურვილი: რატომ არ შეუძლია ჩვენს „მეფეებს“ პრეზიდენტებს და პრემიერებს მსგავსი სიტყვის წარმოთქმა?** თუ ვინმესი ეშინიათ და ვერ ბედავენ! თუ მრჩეველი და „მწიგნობართუხუცესი“ არ უზის დავით მეფესავით, რომელიც იდეას და სიტყვას უკარნახებს?

თუ ადრე ამერიკაზე წინ დასწრებით არ შეეძლო რაიმეს კეთება, ახლა ხომ შეუძლიათ გამოიყენონ ტრამპის ეს სიტყვა „შპარგალკად“ და გაიმეორონ იგი ისე, ეროგორც ამ ქვეყანას, ჩვენს პატარა ერს გამოადგება-მოერგება! — ჩვენ ხომ ყველაფერში ვბაძავთ მას — ამერიკას. ახლა რა ხდება? ისევ ლიბერასტების და პედერასტების ეიფორიას ავყევით, ისევ ნაცების ლაყელობას? ტრამპი რომ არ მოეწონათ და მის წინააღმდეგ შავ პიარს რომ აგორებენ „რუსთავი-2„ და სხვები? რა გვჭირს ჩვენ?

* * *

მთის ანდრეზული ცოდნა გვასწავლის: თუ კიდობანი ან კასრი გაგიხვრიტა თაგვმა, იქიდან გაედინება ფქვილი და მშიერი დარჩები. ერის სიბრძნე და ენერგეტიკა ასევე გაიცლება მოღიავებული კარიდან, რომელშიც ყველა შედის და გადის.

ისმის კითხვა: ვინ გაუხვრიტა ფსკერი კიდობანს, საიდანაც გაედინება ერი და მისი ენერგეტიკა, საარსებო აურა და შემოედინება ოკეანის წყალი, რომელიც ყველაფერს „ჩარეცხავს“...

საქართველო უქართველებოდ „ვერ დატოვეს“ რუსებმა (შესაძლოა, ეს პროცესი სტალინის ფენომენმა შეაჩერა), მაგრამ შეძლეს ევრო-ატლანტმა მასონებმა — კაცობრიული ცივილიზაციის დამნგრევებმა, მათმა აქ ჩანერგილმა ჯაშუშებმა — III და IV ხელისუფლებებმა...

მათ დაანგრიეს ბაბილონი (ერაყი), სირია, ავღანეთი...

ისინი ანგრევენ კავკასიის ცივილიზაციას და ცნობიერებას...

ხალხი თითქოს თავისი ნებით მიდის, ვერავინ ვერაფერს დააბრალებს!

ჩვენ გავარღვიეთ ჩვენი ენერგეტიკული სივრცე და დავიცალეთ.

აი, ტრამპი კი ამერიკელს და მის ენერგეტიკას საკუთარ ქვეყანაში აბრუნებს, სხვა შემომსვლელს ბარიერს უყენებს.

არის ტრამპის ტიპის ერთადერთი პიროვნება საქართველოში, რომელიც კულისებში გაიყვანეს და განუწყვეტლივ ქვას ესვრიან, რომ უკან არ შემობრუნდეს და სწორი სვლა არ გააკეთოს! — ქართველი ხალხი კვლავ აგრძელებს საკუთარი ღირსეული შვილების დევნის პროცესს და ჩვენი ისტორიის ბედისწერულ გაკვეთილებს...

დიახ, ეს ასეა — **ქართველთა ეგოიზმი ანგრევს საქართველოს!**

სამაგიეროდ, მელიები და ბოკერიები და ხოშტარიები თამაშობენ ჭადრაკს. წინა პარტიებში მათ გააკეთეს არაერთი საბედისწერო სვლა, შესწირეს სამაჩაბლო, კოდორი, ახალგორი... დანარჩენი საქართველოს ნაწილები პროკრუსტეს სარეცელზე დაალაგეს...

ახლა კამათელს აგორებენ და თამაშობენ საკუთარი ქვეყნის ბედისწერით!

**არის ტრამპის ტიპის ერთადერთი პიროვნება საქართველოში, რომელიც კულისებში გაიყვანეს და განუწყვეტლივ ქვას ესვრიან, რომ უკან არ შემობრუნდეს და სწორი სვლა არ გააკეთოს! – ქართველი ხალხი კვლავ აგრძელებს საკუთარი ღირსეული შვილების დევნის პროცესს და ჩვენი ისტორიის ბედისწერულ გაკვეთილებს...**

* * *

**განა არ ვიქნებოდით ბედნიერი, ასეთი პრეზიდენტი რომ ჰყავდეს საქართველოს, ასეთი სიტყვის თქმა რომ შეეძლოს.** მე ვგულისხმობ პატრიოტულ პათოსს და კაცის შინარეჭვრეტას, რომელიც გამოხატავდა სამშობლოს სიყვარულს და ტკივილს მასზე.

რა თქვა ისეთი პრეზიდენტმა, ამდენი ჰომოსექსუალების და ლიბერასტების რეაქცია და აგრესია რომ გამოიწვია? რა თქვა ისეთი მან, რაც საზიანოა მისი ქვეყნისთვის და სასარგებლოა მტრებისთვის, სხვებისთვის.

რა თქვა ისეთი ამერიკის პრეზიდენტრმა, რომ ჩვენთან, საქართველოში, საპროტესტო გამოსვლებს ვაწყობთ.

რა თქვა და თქვა ის, რომ უმცირესობანი, ეს ზნეობრივი, ეს სულიერი, ეს ფიზიკურად გადახრილი ანომალური კასტები (კლანები) დაეტიონ თავის ტყავში და ნუ აზიან თავზე უმრავლესობას.

ნუ აპიარებენ ტელევიზიები მათ და ნუ ავრცელებენ ცრუ ინფორმაციებს.

მან თქვა, რომ უნდა მოვუაროთ ამერიკას, შევაბრუნოთ შიგნით მისი გაფანტული ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურები. მისი ენერგეტიკა, რომელიც მსოფლიოშია გაფანტული.

არ არის ეს მნიშვნელოვანი? არ უნდა გვიხაროდეს ჩვენ, როდესაც მსოფლიოს ყველაზე დიდ ქვეყანაში, რომელთანაც ჩვენ მეგობრობა და ურთიერთობა გვინდა, ასეთი პრეზიდენტი მოვიდა! მაგრამ არა, საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია მისმა გამოჩენამ ამერიკელ ჰომოსექსუალ უზნეოთა შორის, ასევე საქართველოში! „რუსთავი-2“-მა და მისმა ხროვამ წიოკი ატეხეს.

ფერი დაკარგეს ამ გარეწარმა არასამთავრობოებმა, თავზე რომ დააჯდნენ ქართველ ერს!

ნახეთ, რამდენად რთული ვითარებაა მსოფლიოში უზნეოები და გახრწნილები ამერიკის პრეზიდენტს არ ეპუებიან და აქ ივანიშვილს დაინდობენ?

* * *

წელან ჩვენი პრეზიდენტი ვახსენე! რისი დამწერია ჩვენი სექსომანი და „მელომანი“ ლიბერასტი პრეზიდენტი, ულტრა ნაცების და ყველა ჯურის არასამთავრობო ანტიქრისტეთა მხარდამჭერი, წამქეზებელი ყოველივე იმისა, რაც უსარგებლოა ქვეყნისთვის. ამაო მხარჯველი და მთქვლეფელი ღატაკი სახელმწიფო სახსრების. სრულიად შეუსაბამო ადგილზე მყოფი! როდემდე უნდა ვუყუროთ ამ პრეზიდენტს ამ სასახლეში? რომელიც სხვისია და არ ეკუთვნის მას!

როგორ შეიძლება ასეთი დაშლილი და ოკუპირებული ქვეყანა ასეთი პრეზიდენტის ამარა იყოს? ამას ხომ უპრეზიდენტობა სჯობია, „ცარიელი ადგილი“ ვერაფერს დააშავებს“ ამ „უბედურებით შევსებული სახელმწიფო დაწესებულება კი ჭეშმარიტად „პანდორას ყუთია“.

* * *

ნახეთ, რა გააკეთა ერდოღანმა: განდევნა და ამოაგდო მოღალატე ტელევიზიები, ციხეში ჩაამწყვდია ენააწყვეტილი ძირგამომთხრელი ჟურნალისტები, განდევნა მოღალატე პარტიები და არასამთავრობოები.

სწორედ იგივეს ბრძანებს ტრამპი: მკაცრად აფრთხილებს ჟურნალისტებს, რომ ნუ აკეთებენ სიცრუის ტირაჟირებას, ნუ ახვევენ თავზე ერს „უმცირესობათა და კასტათა“ წესრიგს!

* * *

ზუსტად იგივეს გეუბნებოდათ ივანიშვილი, რომ არ იყავით მართალი და ავრცელებდით დეზინფორმაციებს, იგივეს გეუბნებოდათ ფსევდოპოლიტოლოგებს, არასამთავრობოებს...

ბოლოს ეტყობა მოსწყინდა და გაჩერდა!

ვერ დაუჭირა ივანიშვილს მხარი საკუთარმა, მის მიერ შექმნილმა „ოცნებამ“, მის მიერ დასმულმა პრეზიდენტმა უღალატა.

დაბოლოს, ისევ ტრამპმა დაუჭირა მხარი და გაიმეორა ზუსტად იგივე, რასაც ივანიშვილი ბრძანებს.

ახლა რას იტყვით, ნაცისტებო და ლიბერაასტებო?

იგივეს ამბობს პუტინიც, რასაც ტრამპი ბრძანებს. ახლა რას იტყვით? რომელია თქვენ მხარეზე? ერდოღანი, ტრამპი, პუტინი,

4 გვ. →



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# დიდი სპექტაკლი დამთავრდა! ახლა ძველი დეკორაციების გადაყრის დროა!

## მეოცე საუკუნეში დაბადებული სამივე უტოპია – ნაცისტური, კომუნისტური და ლიბერალური – ჩამოიშალა! გილოცავთ! – ახლა ბალახს ბალახი ჰქვია, დედას – დედა და მამას – მამა!

*„საერთო გაზეთის" სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:*

**— ზაზა, ტრამპმა პოლიტიკური ვექტორი მთლიანად შეცვალა. მნიშვნელოვანია, რომ იგი ულტრა-ლიბერალიზმს ღიად დაუპირისპირდა. რა შედეგს გამოიღებს ყოველივე ეს?**

— კი, ნამდვილად ასეა. შეიძლება ითქვას, რომ ახლა, ჩვენ, ახალი პარადიგმის დაბადების მომსწრენი ვართ. აქამდე, ლიბერალური უტოპია იყო. ასე ვიტყოდი: მეოცე საუკუნემ სამი უტოპია დაბადა — ნაცისტური, კომუნისტური და ლიბერალური. ჯერ პირველი ჩამოიშალა, დამარცხდა შემდეგ, კომუნისტური. კომუნისტური კოლოსის დაშლის შემდეგ, ზუსტად 25 წელიწადში, ლიბერალური უტოპიაც ჩამოიშალა. მოდი ვთქვათ, რა იყო სამივე უტოპიის მთავარი მახასიათებელი? — ახალი სოციალობა და ახალი ადამიანის შექმნა. სტრატეგია განსხვავებული, მაგრამ იდეა ერთი იყო — ახალი ადამიანი თვითონ უნდა გამხდარიყო ღმერთი. ფაქტობრივად, ლაპარაკი იყო ადამიანზე რომელიც არის არა, ერთი მხრივ, ბუნების და მეორე მხრივ, ტრადიციის ნაწილი, არამედ ადამიანზე რომელიც არის არაბუნებრივი და არატრადიციული, თვითონ განაგებს საკუთარ სხეულს, თვითონ ქმნის ახალ ბიოლოგიას, ბიოეთიკას. აი, სწორედ ეს ლიბერალური უტოპია ჩამოიშალა, თანაც იმ მომენტში, როდესაც იგი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს შეეხო — ის ტოტი მოჭრა რომელზეც იჯდა, ანუ, ოჯახი, ბიოლოგია და ა.შ ანუ, ტრამპის გამოჩენა, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი ადამიანის შეკვეთა არის. პოლიტიკაში ჩვეულებრივი ადამიანი დაბრუნდა თავისი პლუსებით, მინუსებით, შიშებით, მიზნებით, ბიოლოგიით, იმ ენით, სადაც დედას დედა ჰქვია და მამას — მამა და არა იმ ენით, სადაც მშობელი ნომერი ერთი და მშობელი ნომერი ორი არსებობს. სამწუხაროდ, ყველა უტოპია თავის უტოპიურ ენას ქმნის. საბჭოთა კავშირს, ნაციზმსაც, ლიბერალიზმსაც ხელოვნური ენა ჰქონდათ. ახლა, ჩვენ იმ რეალობაში დავბრუნდით სადაც წყალს წყალი ჰქვია, ბალახს — ბალახი, დედას — დედა და მამას — მამა. აი, ეს მოხდა. აღმოჩნდა, რომ სახელდება გადამწყვეტი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტი არის. ანუ, „ნიუს-სპიქმა" — ამ ახალმა ენამ ამ ყველაფერს ვერ გაუძლო და ჩვენ, ახლა, ისევ ნორმალურ ენაზე ლაპარაკი გვიწევს. აქამდე, როდესაც ჩვეულებრივ სიტყვებს ვამბობდით, ეს, უკვე, პოლიტიკურად არაკორექტული იყო. აი, ამ დონემდე მივედით და სწორედ, ეს ჩამოიშალა. მოკლედ, კიდევ ერთი ბაბილონის გოდოლი ჩამოიშალა და კიდევ ერთი ხელოვნური, ერთიანი ენა ადამიანურ დიალექტებად და ენებად დაიშალა.

**— ზაზა, შვიდპუნქტიან დოკუმენტში ტრამპი ქრისტიანული ფასეულობების მხარდაჭერაზე ამახვილებდა ყურადღებას. ახლახან, მან განაცხადა: თუ სირიელი დევნილები თავშესაფარს მოითხოვენ, იგი, უპირატესობას ქრისტიან სირიელებს მიანიჭებს. თქვენთვის, ეს რაზე მიანიშნებს?**

— ტრამპი ძირეულ ანუ ე.წ. სიღრმის ამერიკას გამოხატავს, რაც ლიბერალი ინტელექტუალისთვის გაუნათლებელ თეთრს, ქსენოფობს ნიშნავს. საერთოდ, ლიბერალური ენა სავსე იყო მსგავსი იარლიყებით — ქსენოფობი, ანტიფემინისტი, ჰომოფობი და ა.შ., რაც ნებისმიერი ტიპის ტოტალიტარული ენისთვის დამახასიათებელია. ლიბერალიზმი როგორც ტოტალიტარული სისტემა ისე ჩამოყალიბდა, რომელიც, ფაქტობრივად, სხვაგვარი აზრის გამოთქმის საშუალებას არ იძლევა და სადაც ადამიანი ვერ ეტევა, იგი პროკრუსტეს სარეცელზეა. ჩვენ, ამას, ლიბერალურ პარადიგმას ვეძახით თორემ, უკვე დიდი ხანია, სინამდვილეში, ღრმა ფილოსოფოსები და პოლიტიკური ფილოსოფოსები ამას გნოსტიციზმს უწოდებენ. კერძოდ, მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღრმა პოლიტიკურ ფილოსოფოსს ერიხ ფოგელინის ამ თემაზე ნაშრომები აქვს და რასაც ჩვენ ლიბერალიზმს ვეძახით, იგი თანამედროვე გნოსტიციზმს უწოდებს. რადგან ასეა მიღებული, მოდი, ჩვენც გლობალური ლიბერალიზმი ვუწოდოთ. აქ, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი: გლობალური ლიბერალიზმი თვითონ არის ახალი რელიგია. მოგეხსენებათ, გნოსტიციზმი ეს არის რელიგიური პოსტულატების მთელი სისტემა, რომელიც ქრისტიანობის მერე, მე-2 საუკუნეში ჩამოყალიბდა. იგი, მე-2-მე-3 საუკუნეში ქრისტიანობას ძალიან სერიოზულად უპირისპირდებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქრებოდა, მერე, ჩნდებოდა. როცა თანამედროვე გნოსტიციზმზეა ლაპარაკი, იგულისხმება, მე-18 საუკუნე, განმანათლებლები — ვოლტერი, რუსო, განსაკუთრებით, მარქსი, ფროიდი, ნიცშე როგორც ამ ახალი გნოსტიციზმის მამამთავრები. წელს ოქტომბრის რევოლუციიდან, გადატრიალებიდან 100 წელი სრულდება. მისი ამგვარი ბატონობა 100 წელი გაგრძელდა. ყველაზე უფრო ფარისევლური, რთული და მცოცავი სწორედ ლიბერალური უტოპია იყო, რომელიც თავის თავს ალტერნატივად მიიჩნევდა. მაგრამ ბოლო 25 წელიწადმა შემდეგი რამ გვიჩვენა — თუ კომუნისტური უტოპია კლასობრივ ცნობიერებას, გაგებას ეყრდნობოდა, ნაციზმი კი — რასის, აღმოჩნდა რომ ლიბერალიზმი გენდერული უტოპია იყო. პირველს კლასის მოსპობა უნდოდა, მეორეს — ერთი რამის გაბატონება და მესამეს — ახალი, ხელოვნური ადამიანის შექმნა. მისი ერთ-ერთი მთავარი იარაღი გენდერული იდეოლოგია, გენდერული იდენტობები და ა.შ. იყო, რაც ყოველთვის აბსურდამდე მიდიოდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს სწორედ იმ ცენტრში ხდება, საიდანაც ყველაფერი დაიწყო ანუ, ამერიკულ სამყაროში ჯერ მექსიკის, შემდეგ ტრამპის მოსვლის სახით. ფაქტობრივად, ლიბერალებისთვის ეს სრული აპოკალიფსია. სხვათა შორის, ეს საინტერესო თემაა. ახალი სამყარო ისახება. რა თქმა უნდა, ძველის დემონტაჟს და ახლის ჩამოყალიბებას ათწლეულები დასჭირდება. პოლიტიკურად გლობალური ლიბერალიზმი უკვე მკვდარია, მაგრამ არის ადგილები, სადაც ის რჩება და მის დემონტაჟს ათწლეულები დასჭირდება. პირველ რიგში, ეს არის მედია, განათლება და კულტურა, ანუ, საკმაოდ სერიოზული სფეროები, სადაც ლიბერალიზმს ფესვები აქვს გადგმული. თუმცა, ყველგან ერთნაირად არ არის. აქედან გამომდინარე, ამას შეიძლება კონტრ.რევოლუცია დავარქვათ. შეიძლება სხვაგვარადაც შევხედოთ და ამ ყველაფერს ფრანგული რევოლუციის დასასრული ვუწოდოთ. ფრანგული რევოლუციის რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული და რამაც 2016 წელს ამერიკაში ჩატარებული არჩევნების სახით ძალიან სერიოზული დარტყმა განიცადა. მთელი ამბავი იცი რა არის? — იმდენად ტრამპმა კი არ გაიმარჯვა, რამდენადაც ლიბერალიზმი დამარცხდა. ბაბილონის გოდოლივით ჩამოიშალა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გაშიშვლდა. ამიტომ იყო საინტერესო იმეილების საქმეც. აღმოჩნდა, რომ მათი ღირებულებები სრული ფარისევლობაა. ჰილარი კლინტონი და სხვანი საჯარო სივრცეში ერთს ლაპარაკობდნენ და მეორეს ფიქრობდნენ. საჯარო სივრცეში იყვნენ ისეთივე რასისტები და ცინიკოსები, რასაც სხვებს აბრალებდნენ. ეს, აბსოლუტურად, ორმაგი მორალი იყო, როგორც საბჭოთა კავშირის დროს — ოფიციალური და არაოფიციალური ენა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდა. მათ, ის რასაც ქადაგებდნენ, არ სწამდათ. კლინტონისთვის ხალხი მანიპულაციის ობიექტი იყო. არსებობდა კულისები, სადაც შეიძლება პირდაპირ ელაპარაკა, ხალხი კი მანიპულაციის საგანი იყო. აი, რა ჩამოიშალა. აღმოჩნდა, რომ თვითონ ლიბერალები ლიბერალურ ღირებულებებს არ იზიარებენ და კიდევ უფრო უარესი ცინიკოსები არიან, ვიდრე ისინი, ვისაც ქსენოფობებისა და ჰომოფობების იარლიყს აკრავდნენ. თურმე, ეს სხვების გასაგონად ხდებოდა და მიზნები, რეალურად, სულ სხვა იყო. აი, ამიტომ ჩამოიშალა ყველაფერთან ერთად. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ტრამპის ფიგურა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მის ადგილას ნებისმიერი შეიძლება ყოფილიყო. ეს დროის გამოწვევა იყო. ჩვენ, ახლა, ახალი სამყაროს დაბადების პროცესში ვართ. მისი კონტურების დანახვა ძალიან რთულია, მაგრამ ფაქტია, უამრავი რამ უკვე აღარ გამოგვადგება, მაგალითად, რიგი პოლიტიკური თეორიები. როგორც 1991 წელს უკვე შეგეძლო საბჭოთა წიგნების 90% გადაგეყარა, ასე შეგიძლია ახლა, ლიბერალური წიგნების 90% თუ მეტი არა, გადაყარო.






**— საქართველოში, ისევ ის ძალები არიან, რომლებიც ულტრა-ლიბერალური ფრთის ლობირებით გაჩდნენ, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც კვლავ აშშ-ს წინა ადმინისტრაციის მიერ ფინანსდებიან, რომელთაც ტრამპი ასე ღიად უპირისპირდება.**

— კი, გეთანხმები, ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ჩვენთან კვლავ არიან, მაგრამ ეს საფრთხე არაა, ამას დრო სჭირდება. უბრალოდ, ჩვენი მარადიული პრობლემა ქართული მოუთმენლობაა. ველი, ამ ყველაფრისგან, ჩვენ თვითონ უნდა გავწმინდოთ, ჩვენს ნაცვლად სხვა ამას ვერავინ გააკეთებს. ძალიან სერიოზული საქმე გაკეთდა და ახლა, წმენდა ჩვენ თვითონ უნდა ჩავატაროთ. ოღონდ, ამან კულტურული სახე უნდა მიიღოს. ამ დროს, მთავარია, ჩვენი ნაციონალური ინტერესები კარგად ჩამოვაყალიბოთ. ხალხის

4 გვ. →



# ტრამპი და საქართველო, ანუ რატომ მეგონა ტრამპის სიტყვა ქართველი კაცის დაწერილი?

← 2 გვ.

ირანი, აზერბაიჯანი, აფხაზი, ოსი, სომეხი? — არავინ!

მოსწყინდა ივანიშვილსაც თქვენი დაცვა, თქვენი გაყვანა, თქვენი გადარჩენა და მერე თქვენი უსუსურობა, თქვენი ღალატი, ან ღალატის ტოლფასი დუმილი...

* * *

თუ პირველსავე სიტყვასა მოვალთ და ვიკითხავთ, რატომ არ შეუძლია ჩვენს პრეზიდენტს ან რომელიმე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე და პარლამენტარს ტრამპისებური სიტყვის დაწერა, იმიტომ, რომ ღმერთი არ სწამთ! ულმერთო კაცები კი ვერაფერს გააკეთებენ.

როგორ შეიძლება სამშობლო უყვარდეს „ქაცმაცუნა“ ხოშტარია-მოშტარიებს და „კაცმაცუნა“ აკაკუნე-ბაკაკუნებს, ტურამგლებს, უსიყვარულო „გვამები“ უზნეობის ცოცხალ ნიმუშად იქცნენ. ბილწსიტყვაობენ, აფურთხებენ ყველაფერს, რასაც სამშობლოში სამშობლოს სახელი ჰქვია.

**ისინი ებრძვიან ივანიშვილს, ანუ ებრძვიან ქვეყნის გადარჩენის იდეას,** კაცს, რომელიც აშენებს, რომელსაც მოაქვს და აძლევს საკუთარ ქვეყანას, ხალხს, მოღვაწეებს, კულტურას, როგორც შეუძლია და რაც შეუძლია.ივანიშვილს არაფერი წაურთმევია ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის, ის აშენებს ტაძრებს, თეატრებს, სკვერებს, ეკლესიებს...

ის ოაზისებს აშენებს, „რიყეზე“, კლდეებზე და ესენი ლანძღავენ. როგორ თუ ხე გადარგო ერთი ადგილიდან მეორეზე. როგორ თუ სოფელს თუ სახლს აშენებს. თავის დანგრეულ სამშობლოში. ამაზე ყვირიან!.

ნაცებისგან განსხვავებით მას არაფერი წაურთმევია საკუთარი ქვეყნისთვის: არც მიწები, არც ტერიტორია, არც ქვეყნის ოკუპაცია მომხდარა მისი მონაწილეობით. მან წაართვა ძალაუფლება ვამპირებს — სააკაშვილის ტიპის გიჟებს.

ეს მათი გაყიდულია ქვეყანა, მათი ღალატის ზვარაკია სამაჩაბლო (შიდა ქართლი) და აფხაზეთი. ახლა რაც დაგვრჩა, ესეც მათი აოხრებულია.

მათი გაყიდულია იგივე ენგურჰესი და ტრანსგაზი (ეხლა კალაძეს და ხელისუფლებას რომ უკიჟინებენ), მათი დასმულია აქ რუსეთი და მისი არმია! როგორ შეუძლია ახლა ივანიშვილს, ან რომელიმეს მათი მონაწილეობით ოკუპირებული ქვეყნის დეოკუპაცია რუსეთთან ომით, პუტინის გინებით, ფუტურო მაკკეინის ჩამოყვანით, რომელსაც უნდა კიდევ ერთი ომი დაგვაწყებინოს რუსეთთან, რომ ეს ქვეყანა საერთოდ აღარ დარჩეს. მათ, „უსამშობლო“ ხალხს ურჩევნია, რომ სულაც არ იყოს ეს ოხერი სამშობლო და ისე ისხდნენ რომელიმე ყვავის ბუდეში და ჩხაოდნენ.

ტრამპი ორ ბიბლიაზე იფიცებდა: ლინკოლნისეულ ბიბლიაზე და საკუთარ ბიბლიაზე და ბრძანებდა: „ღმერთი მიშველის მე და ღმერთი გადაარჩენს ამერიკას!“ ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი ხედავს საფრთხეს და ჩვენები ვერ ხედავენ.

**ვერ დაუჭირა ივანიშვილს მხარი საკუთარმა, მის მიერ შექმნილმა „ოცნებამ“, მის მიერ დასმულმა პრეზიდენტმა უღალატა. დაბოლოს, ისევ ტრამპმა დაუჭირა მხარი და გაიმეორა ზუსტად იგივე, რასაც ივანიშვილი ბრძანებს.**

ვინ გადაარჩენს საქართველოს? ჩვენი, ურწმუნოთა სიტყვით — „მაკკეინი და ნატო!“ ეს არის უფლის სიტყვა მათთვის. ვერც ნატო და ვერც მაკკეინი, ერი უფალმა უნდა გადაარჩინოს და უფლის სიტყვამ ჩვენი ერთი მუჭა ერი და ერთი ციდა სამშობლო. თუკი ამერიკას დასჭირდა ღმერთი (სადაც ურწმუნო კოჭლმა სირაქლემამ ერთსქესიანთა ქორწინება კონსტიტუციაც აქცია), საქართველოს, მით უფრო, ათასგზის სჭირდება ღვთის შველა, ვინაიდგან ჩვენმა „თეთრმა ობამებმა“ და ობობებმა გამოუვალ ლაბირინთში შეიყვანეს იგი!

ტრამპი, თუ იგი გადარჩა (!) შესაძლოა, ჩვენთვის „ახალი ბაბილონის კარიბჭედ“ იქცეს! ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ კაცის გამოჩენით!

**კობა არაბული,**
**მწერალი**

# დიდი სპექტაკლი დამთავრდა! ახლა ძველი დეკორაციების გადაყრის დროა!

← 3 გვ.

დიდი ნაწილი ინსტიქტურად სწორად მოქმედებს. უბრალოდ, საჭიროა ამის არტიკულირება, რასაც დრო სჭირდება. ეს ესე მარტივი არ არის. როცა ადამიანი დიდი ხნის მანძილზე ხმას არ იღებს, ხმის ამოიღების შემდეგ პირდაპირ ლაპარაკს ვერ იწყებს, ეს ცნობილი ფაქტია. ჩვენც ამ დღეში ვართ. არტიკულირებას გარკვეული დრო სჭირდება. ანუ საშიში არაფერია, ყველაზე უფრო მძიმე მომენტი, უკან დარჩა. რა თქმა უნდა, დემონტაჟს და არტიკულაციასაც დრო დასჭირდება იმიტომ, რომ ჩვენ 5-10 წელი არ ვლაპარაკობდით, არამედ ნიშნებს ვიძლეოდით და ეს ყველაფერი სწორი იყო იმიტომ, რომ ბეწვის ხიდზე გავიარეთ. 2012 წელს, რაღაცნაირად, დროსაც კი გავუსწარით იმიტომ, რომ ლიბერალიზმის ეს პროცესი ჩვენთან დაიწყო, მაგრამ ამას, გამომდინარე სიტუაციებიდან, სხვა სახელს ვარქმევდით. 2012 წლიდან 2016 წლამდე ჩვენ, პირდაპირ, ეზოპეს ენით ვმეტყველებდით. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ზიანს მიაყენებდა. დღეს, უკვე შეიძლება თავისუფლად ლაპარაკი იმიტომ, რომ ამით ეროვნული ინტერესები არ ზიანდება, პირიქით. დრო სჭირდება იმას, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესების არტიკულაცია მოვახდინოთ. დრო ჯერ კიდევ გვაქვს.

ცივი ომი, ვარშავის ხელშეკრულება, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, მხოლოდ წარწერებია. რეალობა სხვაგან არის. პოსტმოდერნიზმი ამას მალავდა, ამბობდა, რომ ადამიანი ვირტუალურად ჩაანაცვლა. თურმე, ეგრე არ ყოფილა, ადამიანი დაბრუნდა. ანუ, მოძველებულია არა მარტო ნატოს მომხრეობა, არამედ მასთან დაპირისპირებაც. იმიტომ, რომ ასეთი რეალობა უკვე აღარ არის, სხვა რეალობაში ვართ. ადამიანი რომელიც დუმდა და რომლის მაგივრადაც მედია ლაპარაკობდა, ახლა, ალაპარაკდა, მაგრამ ჯერ კარგად არ ისმის, მისი მეტყველება ყრუდ ისმის იმიტომ, რომ დუმდა. მის მაგივრად 25 წელი რადიო ლაპარაკობდა. რა თქმა უნდა, ლაპარაკის დაწყება რთულია. შენ გეუბნებოდნენ, რომ მამა კი არა, არამედ მშობელი ნომერი ორი, დედა კი არ, მშობელი ნომერი ერთი დაუძახეო. ასეთი რაღაცები კიდევ გრძელდება.

**— როგორ ფიქრობთ, რა მოლაპარაკება შეიძლება შედგეს რუსეთსა და ამერიკას შორის საქართველოსთან მიმართებაში?**

მინდა, მაშინ არავის ორბიტაზე არ ვარ, არამედ ჩემს ორბიტაზე ვარ. აქ, მნიშვნელობა არ აქვს დიდი ხარ თუ პატარა, ეს კანონი სპორტშიც მოქმედებს და ომშიც. მაგალითად, საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა ესპანეთის ნაკრები, ეს შესაძლებელია. ოღონდ, თუ ვიცი რა მინდა და თავს მოხვეული არ არის სხვის მიერ, როგორც ეს „ნაცმოძრაობის“ შემთხვევაში იყო. ანუ, მათი მხრიდან საყოველთაო კორუფცია იყო და ეს აწყობდათ კიდეც, რადგან ამ სიტუაციაში ძალიან დიდ ფულს აკეთებდნენ. სად შეჭამეს 2004წლიდან 2008 წლამდე მიღებული 10 მილიარდი. ეს ამერიკის მიერ მიცემული თანხა მთლიანად შეჭმულია. ადამიანები რომლებიც აბსოლუტური მოღალატეები იყვნენ, კიდევ ვიღაცის ღალატზე და აგენტობაზე ლაპარაკობენ. სად არის ის 10 მილიარდი?! რა თქმა უნდა, რუსეთს თავის ინტერესები აქვს, ჩვენ — ჩვენი. მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენ ეს ინტერესები ჩამოყალიბებული არ გვაქვს, ეს სადღაც წერია. რეალობა




**— ზაზა, წეღან ვიკითხე, ხომ არ ვუპირისპირდებით ტრამპის პოლიტიკას. მაგალითად, მან განაცხადა, რომ ნატო ზედმეტი ინსტიტუტია და აშშ-ს ადმინისტრაცია ამ ბლოკს აღარ დააფინანსებს. ჩვენ კი პირზე ისევ ნატო გვაკერია.**

— ნუ, ეს ძველი ენაა. ახლა რაც ხდება, ეს პროცესები თავისი სისწრაფით ძალიან წააგავს იმას, რაც 90-91 წლებში ხდებოდა, როცა საბჭოთა კავშირი ინგრეოდა. ვარშავის ხელშეკრულება რომ გაუქმდა, იმდენად სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები, ეს ამბავი მეორე თუ მესამე დღეს გავიგე. ბევრი ისეთი რამ მოხდება, რაც დღეს ვერ წარმოგვიდგენია. ნატო ძველი რეალობაა.

**— თუმცა, ჯერ ისევ ამ რეალობიდან არ გამოვსულვართ. როგორ გესახებათ, გამოსვლის გზა?**

— ერთი წუთით ასეთი რამ წარმოვიდგინოთ: როდესაც დეკორაციები იშლება, ქრება, ყველაფერი ჰაერში ტრიალებს, არ ჩანს. დიდი სპექტაკლი დამთავრდა და ეს ძველი დეკორაციები იყრება, რჩება შიშველი მიწა და ამ მიწაზე ადამიანი. ეს ყველაფერი — ნატო, — ბევრ რამეზე შეიძლება მოილაპარაკონ, მაგრამ ახლა, ჩვენც, რაღაცნაირად, ისტორიის სუბიექტები ვართ. ჩემი აზრით, საქართველოს ინტერესებშია, რომ ეს ორი ძალა ერთმანეთთან კარგად იყოს, როგორც შევარდნაძის პერიოდში. სააკაშვილის მთელი ტრაგედია ის იყო, და მას ეს არც დაუმალავს, რომ უნდა ყოფილიყო მუდმივი დაპირისპირება. იმიტომ, რომ სააკაშვილის ტიპის ფიგურა შეიძლება მხოლოდ ასეთ პირობებში აყვავებულიყო. ჩვენს ეროვნულ ინტერესებშია რომ ეს ორი ძალა ერთმანეთთან კარგად იყოს. ჩვენ მშვიდობა გვჭირდება, რათა განვვითარდეთ და ეროვნული ინტერესები განვახორციელოთ. ეს ძალიან მარტივია. ახლა, სწორედ ამის დრო მოვიდა. მაგალითად, სააკაშვილი ცეცხლზე ნავთს ასხამდა და უხაროდა — ჩვენს გამო კინაღამ მესამე მსოფლიო ომი დაიწყოო. მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსის მთავარი ნიჭია თავის ხალხს რისკები ააცილოს, მისი მინიმიზაცია მოახდინოს და არა პირიქით.

**— ასეა თუ ისე, რუსეთი ჩვენი მეზობელია, თუ თქვენს მიერ ნახსენები ძველი ენიდან ვერ გამოვედით, ხომ არ აღმოვჩნდებით რუსეთის ორბიტაზე?**

— ეს ორბიტები და ყველაფერი ძველი მსოფლიოს ნაწილია. თუ ეროვნულ ინტერესებს ვაყალიბებთ, მაშინ ეს ყველაფერი — ორბიტა, გავლენა და ა.შ., მეტაფორებია. მთავარი არის ადამიანის, ნაციის ნება. თუ მე ვიცი რა ასეთია, ამ ქვეყანაზე მარადიული არაფერია — არც ნატო, არც ვარშავის ხელშეკრულება. ბლოკები იცვლება. როცა ჩამოვაყალიბებთ რა გვინდა, მაშინ უკვე შეიძლება ლაპარაკი რა კომპრომისებზე შეიძლება წავიდეთ არამარტო რუსეთთან, არამედ ამერიკასთან, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ მათი დაახლოება. ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება მათი დაახლოების შემთხვევაში, სარგებელი მოვიპოვოთ.

**— ვინ უნდა განსაზღვროს რა გვინდა და როგორ გამოვიყენოთ ეს დაახლოება სასიკეთოდ?**

— რა თქმა უნდა, ეს შეკითხვა დღის წესრიგში დგას. ეს უნდა გააკეთოს ისეთმა ტიპის პოლიტიკოსმა, რომელიც კარგად გრძნობს ჩვეულებრივი, უბრალო ხალხის გულისთქმას ისე როგორც ტრამპმა გამოხატა ამერიკაში — არა ინტელექტუალების, არა ჰოლივუდის, არა მასმედიის, არამედ უბრალო ხალხის პულსაცია. აქაც იმ ადამიანმა, რომელსაც ხალხის პულსზე უდევს ხელი, უნდა გამოხატოს პოზიცია.

დღეს, წინა პლანზე, თვითონ ხალხი გამოვიდა. ძალიან საინტერესო მომენტია. ლიბერალები დემოკრატიის მახეში გაებნენ. დემოკრატია და ლიბერალიზმი, როგორც ჩანს, საბოლოოდ დასცილდნენ ერთმანეთს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ვიზალიბერალიზაციის სიკეთეები და საფრთხეები

**2 თებერვალს ევროპარლამენტმა ხმათა უმრავლესობით, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას მხარი დაუჭირა. საქართველოს მოქალაქეები შენგენის ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტით (90 დღე ნებისმიერი 190-დან) უვიზოდ მოგზაურობას სავარაუდოდ, აპრილიდან შეძლებენ. ცნობილია, რომ 2016 წლის 25-26 აპრილს ბრიუსელში გამართულ ასოცირების კომიტეტის რიგით მეორე სხდომაზე ნაციონალური მოძრაობის წევრებმა გიორგი კანდელაკმა და ტარიელ ლონდარიძემ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მხარდამჭერ სარეკომენდაციო დოკუმენტს მხარი არ დაუჭირეს. ისტორიულ გადაწყვეტილებაზე საუბარი პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრთან გიორგი გაჩეჩილაძესთან სწორედ ამ თემით დავიწყეთ:**

— მე ვესწრებოდი ასოცირების



კომიტეტის მეორე სხდომას, რომელზეც ნაციონალური მოძრაობის წევრებმა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მხარდამჭერ სარეკომენდაციო დოკუმენტს მხარი არ დაუჭირეს და სხვა ფრაქციებსაც ამისკენ მოუწოდებდნენ. ჩემთვის გამაოგნებელი იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხზე, ვიღაცას ასეთი პოზიცია ჰქონდა. საბედნიეროდ, ევროპარლამენტში არიან ევროპის მწვანეები, სოციალისტური და კონსერვატიული ფრაქციების წარმომადგენლები და მოვახერხეთ, რომ უმრავლესობა მოგვეპოვებინა. მოგვიანებით, დავფიქრდი და კანდელაკის პოზიცია აღარ გამკვირვებია..

**— რას გულისხმობთ?**

— ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ვამბობდი, რომ ამ პოლიტიკურ ძალას დასავლურ ორიენტაციასთან საერთო არაფერი აქვს და ეს დრომაც დაადასტურა. მოგეხსენებათ, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთმა ჩვენს ტერიტორიაზე დააბრუნა 1999 წლის სტამბულის შეთანხმებით გაყვანილი სამხედრო ბაზები, მოახერხა ხელში ჩაეგდო ჩვენი ეკონომიკის და ელექტროგენერაციის 70%-ზე მეტი, ყველა მსხვილი სამრეწველო ობიექტი, რომელიც საექსპორტო საქონელს ქმნის და ა,შ. ჩვენ კიდევ არ ვიცით იმ მემორანდუმის შინაარსი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთთან გააფორმა და ენგურჰესს ეხება. ასე, რომ, რაც არ უნდა იძახონ ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა განშტოებებმა, რომ დასავლურები არიან, მათი ნაკეთები საქმე საპირისპიროზე მეტყველებს. რამდენიმე დღის წინ, რუსთავი 2-ზე სააკაშვილის გამოსვლა იყო, სადაც ბრძანა, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას უფრო ადრე მიიღებდა. ხელისუფლებას მეტი რომ ემუშავა.

**— იქნებ, ნაციონალური მოძრაობას, რომელიც საერთაშორისო პარტნიორებს არწმუნებდა,რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას არ იმსახურებს, უნდა „ემუშავა“ ნაკლები?**

— მოგეხსენებათ, რომ ვიზალიბერალიზაციის წინ უძღვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა. სწორედ ამ გეგმის შესრულებაზეა დამოკიდებული ვიზალიბერალიზაციის მიღება. მთავარი კითხვაა - რატომ ვერ მიიღო საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა 2011 წელს, როგორც მაგალითად, მოლდავეთმა და რატომ გადაიდო ეს ამბავი ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამდე? როგორ მოახერხა ნაციონალურმა მოძრაობამ ამ პროცესის შეჩერება? საქმე ის გახლავთ, რომ 2010 წელს 9 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ ირანთან დაკავშირებით სანქციები დააწესა. ამის მიზეზი ირანის მიერ შემუშავებული ბირთვული პროგრამა პროგრამა იყო. გაეროს შემდეგ, ირანის მიმართ სანქციები შემოიღეს შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა. სანქციები გავრცელდა საგარეო ვაჭრობაზე, საფინანსო და ენერგეტიკულ სექტორზე და ა.შ. აი, ასეთ რეალობაში, 2010 წლის 3 ნოემბერს საქართველომ ირანს საზღვარი გაუხსნა და უვიზო რეჟიმი დაუწესა. ამ დროს, საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის ყოფილი მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე იყო. სწორედ მან მოაწერა ხელი ირანის შესაბამისი უწყების ხელმძღვანელთან შეთანხმებას უვიზო რეჟიმის დაწესებაზე და განაცხადა, რომ ირანს ლეგიტიმური უფლება აქვს ბირთვული ენერგია მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოიყენოს. ანუ ერთი ერთზე გაიმეორა რუსეთის პოზიცია.

**— თქვენი აზრით, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მიღებას ხელი ირანთან საზღვრის გახსნამ შეუშალა?**

— მართალია, მაშინ არც ევროკავშირისასოცირებული წევრები ვიყავით და არც შეერთებული შტატების რომელიმე შტატი, რომ მათი სანქციები ჩვენზე გავრცელებულიყო, მაგრამ ჩვენ გაეროს წევრი ქვეყანა ვართ და გაეროს რეზოლუციების შესრულების ვალდებულება გვეკისრება. ამასთან, ევროკავშირი




და შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიან. თუ დასავლეთისკენ მიდიხარ და ამბობ, რომ ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება გინდა, რა თქმა უნდა, ის პირობები უნდა შეასრულო, რომლებსაც საერთაშორისო დონეზე ითხოვენ. განსაკუთრებით, როცასაქმე ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ეხება, როგორიც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაა. ამის შემდეგ, სამოქმედო გეგმას ვინ მოგვცემდა? ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, 2012 წლის დეკემბერში საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის ხაზინის მდივნის მოადგილე ტერორიზმის, უკანონო დაფინანსებისა და ფინანსური დანაშაულის საკითხებში. რა თქმა უნდა, ვიზიტი შემთხვევითი არ ყოფილა და ამერიკული მხარე ინფორმირებული იყო მომხდართან დაკავშირებით. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამის მერე, ამერიკულ გამოცემაში „უოლდ სტრიტ ჟურნალი“ გამოქვეყნდა უზარმაზარი სტატია, რომელშიც საქართველოს ირანთან უვიზო რეჟიმის დაწესებაზე ოფიციალური ინფორმაცია გაჟღერდა. სტატიაში ერთი საინტერესო ფრაზაა, რომ საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლების საშუალებით, საქართველოს საბანკო სექტორი ირანული სანქციების თავიდან ასაცილების საშუალება გახდა.




**— ეს რას ნიშნავს?**

— იმას, რომ საქართველოში არსებული ზოგიერთი ბანკის საშუალებით სანქციებით შეზღუდული ირანული ფინანსური ნაკადების გათეთრება ხდებოდა და მერე ის ფული სად მიდიოდა, ღმერთმა იცის. მიუხედავად იმისა, რომ ირანი ჩვენი მეგობარი და პარტნიორია, ჩვენი ხელისუფლება იძულებული გახდა, 150-მდე საბანკო ანგარიში „გაეყინა“და 2013 წლის ივლისში ირანთან უვიზო რეჟიმიც გაეუქმებინა, როგორც ამას გაეროს, შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის სანქცია ითხოვდა. სწორედ ამის შემდეგ მივიღეთ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, 2014 წლის ივნისში გავხდით ევროკავშირის ასოცირებული წევრები და ახლახან უვიზო რეჟიმიც მოგვცეს. ბუნებრივია, ახალი ხელისუფლება რომ არ მოსულიყო, ვერც ევროკავშიორის ასოცირებული წევრები გავხდებოდით, ვერც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებას მივაღწევდით, რომელმაც უკვე 500 მილიონიანი ევროკავშირის ბაზარი გაგვიხსნა და რა თქმა უნდა, არც უვიზო რეჟიმს მოგვცემდა ვინმე. ეს არის რეალობა.

**— გარდა იმისა, რომ ქვეყანას ახალ შესაძლებლობებს აძლევს და განვითარების ახალ ეტაპზე გაჰყავს, არსებობს ვარაუდი, რომ ვიზალიბერალიზაცია გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს. თუნდაც ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარების მიმართულებით.**

— დემოგრაფიის მხრივ, საფრთხე იმ შემთხვევაში იქნებოდა, ვადებთან დაკავშირებით შეზღუდვები რომ არ არსებობდეს. ადამიანებს შეუძლიათ ევროკავშირის ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყვნენ, მაგრამ იქ დარჩენაზე და მუშაობაზე საუბარი არაა. თუ ვინმეს ხანგრძლივი დროით სურს დარჩენა, მან ვიზა უნდა აიღოს. ალბათ იცით, რომ ევროკავშირში არალეგალებთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემებია. ევროპარლამენტმა ახალი შეჩერების მექანიზმი შეიმუშავა, რომელიც ითვალისწინებს, რომ თუ საქართველოდან მასიურად დაიწყება შეთანხმების დარღვევა, შეუძლიათ უვიზო რეჟიმი დროებით შეაჩერონ. რეადმისიის ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულებას ვიღებთ, რომ ჩვენი არალეგალები და ევროკავშირის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი მოქალაქეები უკან დავაბრუნოთ. ასე, რომ დემოგრაფიული მიმართულებით, ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავ. პირიქით, ამას ქვეყნისთვის ძალიან სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს საშუალებას აძლევს ჩვენი საშუალებით გავიდნენ ევროკავშირის ტერიტორიაზე და შეადარონ, სად სჯობს - ევროკავშირსა და საქართველოში თუ რუსეთში, სადაც კრიზისული მდგომარეობაა.

**— ისრაელის მაგალითის გათვალისწინებით, არსებობს ვარაუდი, რომ უვიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეების ევროპაში შესვლას უფრო გაართულებს.**

— ისრაელი იქნება ეს თუ სხვა ქვეყანა, ნებისმიერი შეზღუდვა უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება. თუ სპეცსამსახურებს კონკრეტულ ადამიანთან დაკავშირებით, რაიმე არასასურველი ინფორმაცია აქვთ, მის ქვეყანაში შესვლას შეზღუდავენ. ადამიანებს, რომლებსაც მსგავსი პრობლემები არ ჰქონიათ, არავითარი შეზღუდვა არ ექნებათ. უნდაგვახსოვდეს,

7 გვ. →

# ორგზის დასჯილი

## ვახტანგ დადუნაძე:
## დღეს „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის დროს, საპატრულო პოლიციიდან პოლიციის იგივე მაღალჩინოსნებმა გამათავისუფლეს, რომლებმაც 2012 წელს პოლიციიდან „ქართული ოცნების" მხარდაჭერისთვის გამომაგდეს



ვახტანგ დადუნაძე

„შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო გადაწყვეტილებებს კვლავ ვანო მერაბიშვილის გუნდი იღებს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა გოგა რაზმაძემ მითხრა, „ქართულ ოცნებასთან" ხარ ასოცირებული, ამიტომ სამსახურიდან უნდა მიბრძანდე და ახალი სამსახურის საძიებლად ბიძინა ივანიშვილს ეახლო", განაცხადა ბრიფინგზე ამ უწყებიდან უკვე მეორედ დათხოვნილმა პოლიციის მაიორმა **ვახტანგ დადუნაძემ**, რომელიც დღეს „საერთო გაზეთის" სტუმარია.



ვახტანგ დადუნაძე

**ვახტანგ დადუნაძე**: „მაშინაც თბილისის საპატრულო პოლიციის, კერძოდ, მეტროპოლიტენის სამმართველოს თანამშრომელი ვიყავი. ნაციონალების მიერ განხორციელებულმა არაერთმა სადამსჯელო აქციამ, იქნებოდა ეს მიტინგების დაშლა, 7 ნოემბრის, 26 მაისის, ვეტერანების აქციის სასტიკი დარბევა თუ დევნილების გამოსახლება საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გარკვეული ნაწილს ბევრი კითხვები გაგვიჩინა, ჩვენთვის მიუღებელი და აღმაშფოთებელი იყო ხელისუფლების მხრიდან ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულება. პოლიცია მთლიანად პოლიტიზებული გახდა. პატრულ-ინსპექტორებისგან იმ ხალხის დასჯას მოითხოვდნენ, ვისაც „ქართული ოცნების" წარწერიანი მაისური ეცვა, გარდა ამისა, უნდა მოგვეხდინა „ქართული ოცნების" წევრთა და თუ მხარდამჭერთა ავტომანქანების ბლოკირება, საწვავის ავზში შაქარს უყრიდნენ, მძღოლებს უმიზეზოდ ართმევდნენ მართვის უფლებას.

2012 წლის 10 ივნისს ხელმძღვანელობამ დაგვიბარა, მათ შორის იყვნენ საპატრულო პოლიციის დღევანდელი მაღალჩინოსნები დავით მიქიაშვილი და ზურაბ რუხაძე. კაბინეტში რიგრიგობით შევყავდით, ზოგი თურმე „ოცნებობდა", მათ კი „მეოცნებე" ხალხი არ ჭირდებოდათ, ზოგს ოჯახის წევრი ყავდა „ქართულ ოცნების" წევრი და ამიტომ იყო ხელმძღვანელობისთვის მიუღებელი, მე კი თურმე როგორ გავბედე იმის თქმა, რომ „ქართულ ოცნებას" შეიძლებოდა ტერიტორიული მთლიანობა აღედგინა და სხვა სასიკეთო ცვლილებები განეხორციელებინა. საბოლოო „ვერდიქტი" იყო დატოვეთ აღჭურვილობა და პოლიციელის მოწმობა, თავისუფლები ხართო. უკანონო ბრძანებების შემსრულებელმა პოლიციელები არა თუ



გოგა რაზმაძე

დატოვეს სამსახურში, არამედ დააწინაურეს, დავით მიქიაშვილი მაშინ თუ თბილისის სახაზო-საპატრულო სამსახურის უფროსი იყო, დღეს დედაქალაქის საპატრულო პოლიციის შეფია, რუხაძესაც მაღალი თანამდებობა ეკავა, ახლა მიქიაშვილის მოადგილე გახლავთ. ერთი სიტყვით, 50-მდე თანამშრომელი გაგვიშვეს სამსახურიდან, 14 მათგანი, რომლებსაც ბრძოლის გაგრძელება არ შეგვეშინდა, „ქართულ ოცნებაში" მივედით, ჩაგვაბარეს ვაკის რაიონის შტაბი, კოალიციას ვეხმარებოდით როგორც შეგვეძლო, ვაგრძელებდით ხელისუფლების მხილებას, პოლიციელებსაც მოვუწოდებდით რომ ღიად ემხილებინათ ფაშისტური რეჟიმი, გაეხმაურებინათ ყველა უკანონობა, რაც შსს-ში ხდებოდა და გადმოსულიყვნენ „ქართული ოცნების" მხარეს, რადგან ბიძინა ივანიშვილი ხალხთან ასოცირდებოდა. ნაცრეჟიმმა ჩვენს მიმართ რეპრესია გააგრძელდა, არაერთხელ გავხდით ცემისა და დაშინების ობიექტი, მეგობრებს, ნათესავებსა და თანამშრომლებს ჩვენთან ურთიერთობის ეშინოდათ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მაშინდელმა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 14-ვე დაგვაბრუნა სტრუქტურაში, მე ყველაზე რთულ რეგიონში, სამეგრელოში გამიშვა, სადაც ჯერ კიდევ ბოგინობდნენ ახალაიები, მეგის ქარდავა და მათი გუნდი. ერთი წლის განმავლობაში ზუგდიდის საპატრულო პოლიციის უფროსის თანამდებობა მეკავა. მერე თბილისში გადმომიყვანეს, წელიწადნახევრის წინ მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა თბილისის საპატრულო პოლიციის აეროპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დამნიშნა, იქ ვმუშაობდი სანამ 2017 წლის იანვარში კადრების განკარგულებაში ამიყვანდნენ. ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, მაქსიმალურად ვცდილობდი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი იქნებოდა თუ ნებისმიერი პრობლემა, რაც ჩემს თანამშრომლებს ჰქონდათ, ყოველთვის სამართლიანად გადამეწყვიტა, თუმცა ამ ყველაფერში ხელს



დავით მიქიაშვილი

მიშლიდა ზურაბ რუხაძე. ის საზოგადოებისთვის ცნობილი ეკა ყურშიტაშვილის საქმესთან დაკავშირებით გახდა, მისი უშუალო ბრძანებით გაიცა უკანონო განკარგულება, რომ პატრულებთან დაპირისპირებული ეს ქალბატონი უპრობლემოდ გაეშვათ. რუხაძესთან ვცადე გამერკვია, თუ რა გახდა ჩემი გათავისუფლების მიზეზი, მისი თქმით, თურმე დისკომფორტს ვუქმნი დეპარტამენტის დირექტორს გოგა რაზმაძესა და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსს დავით მიქიაშვილს, შენისთანა პოლიციელი არ გვჭირდებაო. ამას მეუბნება ადამიანი, რომელსაც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე იმერეთის საპატრულო პოლიციაში წამყვანი თანამდებობა ეკავა, სწორედ მის დროს იყო იმერეთში „ქართული ოცნების" ავტომანქანების კოლონების გაჩერება-ბლოკირება და მძღოლების დაშინება უკანონო, ბინძური მეთოდებით.

**– გათავისუფლებამდე თუ გამოუთქვამს უკმაყოფილება ხელმძღვანელობას თქვენს მიმართ?**

– პირადად ჩემთან არანაირი სამსახურებრივი პრეტენზია არავის ჰქონია. სხვათა შორის, თავიდან დეპარტამენტის დირექტორთან გოგა რაზმაძესთან კარგი ურთიერთობა მქონდა, ნელ-ნელა ვახერხებდით ხარვეზების გამოსწორებას, მაგრამ რამდენიმე თვეში ჩემს მიმართ უარყოფითად განეწყო, ვფიქრობ, მიქიაშვილისა და რუხაძის გავლენის ქვეშ მოექცა, რომლებიც ფაქტობრივად განაგებენ საპატრულო პოლიციას და მუდმივად ეწევიან ჩემს დისკრედიტაციას. დარწმუნებული ვარ ამ სამმა პიროვნებამ დაგეგმა ჩემი სამსახურიდან გაშვება. ჩემი პრესკონფერენციის შემდეგ გააკეთა განცხადება ლევან მაჭავარიანმა, რომელიც ადრე თვითონაც მშვენივრად ემსახურებოდა მერაბიშვილის რეჟიმს, რომ თითქოს რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია მოხდა და კადრების განკარგულებაში გადამიყვანეს, ე.ი. სადმე დამნიშნავდნენ. თურმე ჩემი მხრიდან არაკორექტული ყოფილა ჩემი საჯარო გამოსვლა, პოლიციის ეთიკა დამირღვევია. ესეც ფარისევლური და მლიქვნელური განცხადებაა, მე არავინ მიპირებდა სადმე დანიშვნას, ჩამაბარებინეს აღჭურვილობა და სახლში გამაგდეს. ლევან მაჭავარიანს ვეკითხები, პოლიციელმა, რომელსაც ამდენი დევნა-უსამართლობა აქვს გადატანილი, 11 წელი პირნათლად იმუშავა, ერთი საყვედური არ აქვს პირად საქმეში როგორ შეიძლება ეთიკა დაარღვიოს. მათ თვითონ დაარღვიეს ყველანაირი ეთიკა, პირადი სიმპათია-ანტიპათიით გადაწყვიტეს ჩემი ბედი, საპატრულო პოლიციას თავიანთ სამფლობელოდ თვლიან. ყველაზე საშინელება ისაა, რომ გოგა რაზმაძე „სამარცხვინო" წარსულს მახსენებს, „კომპრომატი" ის ფოტოები ყოფილა, სადაც „ქართული ოცნების" წარწერიანი მაისურით ვარ გადაღებული. 5 თუ 6 იანვარს დამიბარა, გათავისუფლებული ხარო, ამიკრძალა სამსახურში მისვლა, დამიყარა ეს ფოტოები და აგდებული ტონით მითხრა, რომ ბიძინა ივანიშვილთან წავსულიყავი და მასთან მეშოვა სამსახური. 27 იანვარს ამიყვანეს კადრების განკარგულებაში. Bატონმა მაჭავარიანმა ზუსტად გაიმეორა შს მინისტრიეს მაშინდელი მოადგილის ეკა ზღულაძის ქმედება. 2012 წლის ზაფხულში, როცა ჩვენ სამსახურიდან გათავისუფლება გავაპროტესტეთ, ქალბატონმა ზღულაძემ ბრძანა, რომ ჩვენ კადრების განკარგულებაში გადაგვიყვანეს, თურმე უარი განვაცხადეთ მუშაობაზე და ჩვენი ნებით წავედით სამსახურიდან. გეკითხებით, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს ხელფასსა და დაზღვევაზე. ლევან მაჭავარიანს ისეთ პიროვნებად ვიცნობთ, რომელიც ქარის შემობერვაზე იცვლის „კურსს", მინდა თქვენი გაზეთის ვუთხრა, რომ ძალიან მალე დადგება ის დრო, როცა ქარი კი არა, ქარიშხალი და-

უბერავს და სულ სხვაგან აღმოჩნდება თავისი სიცრუისა და სიბინძურის გამო. ლევან მაჭავარიანი თვითონაც კარგად ხედავდა, რომ გოგა რაზმაძის დეპარტამენტის დირექტორად დანიშვნის შემდეგ, საპატრულო პოლიციაში ყველაფერი თავდაყირა დადგა, გაჩნდა ბევრი პრობლემა. იგი თავადაც ამხელდა რაზმაძეს, ჩვენს წინაშე არაერთხელ უთქვამს, რამდენ უსამართლობასა და უკანონობას სჩადის ეს ადამიანი, აღმაშფოთებელია მისი საკადრო პოლიტიკაო. რაზმაძე არავის უსმენდა, მხოლოდ მიქიაშვილსა და რუხაძესთან ახლობლობდა, გარბოდა მინისტრ მღებრიშვილთან, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარია. დღეს ეს ადამიანი, რომელიც დღე და ღამე რაზმაძის მხილებით იყო დაკავებული, მე დამიპირისპირდა და მამტყუნებს, არადა ჩემს საქმეს ძალიან კარგად იცნობდა და ისიც იცოდა სავარაუდოდ რა მომელოდა. სანამ პირში სული მიდგას, რაზმაძესთან, მიქიაშვილთან და რუხაძესთან ერთად, არც მაჭავარიანს ვაპატიებ ამ უკანონობას, უსამართლობასა და სიბინძურეს. მისი „დამსახურებაცაა“ ჩემი შვიდსულიანი ოჯახი მშიერი რომ დარჩა, მხოლოდ მე ვმუ-



ზურა რუხაძე

შაობდი და ასე უსინდისოდ მომისროლეს ქუჩაში.

ჩვენი ბედი თურმე ვანო მერაბიშვილის „ლუბიმჩიკად“ წოდებულმა დავით მიქიაშვილმა უნდა გადაწყვიტოს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ სისხლიან დარბევებში, მისი დაგეგმილია „ქართული ოცნების“ მიტინგებზე მოწყობილი პროვოკაციები, 26 მაისის მიტინგის დარბევის დროს, როდესაც ლუკა კურტანიძე ცემატყეპით გამოყავდათ, მიქიაშვილი უკან მოყვებოდა და ისიც მონაწილეობდა ამ სასტიკ ანგარიშსწორებაში. ამას ის თანამშრომლები ამბობენ, რომლებიც მაშინ გვერდით ედგნენ მიქიაშვილს. ამ „დამსახურებისთვის“ მიქიაშვილი გულუხვად დააჯილდოვა ნაცრეჟიმმა. იმასაც ამბობენ მიქიაშვილს ქორწილი ვანო მერაბიშვილმა გადაუხადა და თავადაც ესწრებოდა საპატიო სტუმრის რანგშიო. ეჭვი არ მეპარება მიქიაშვილი და ძმანი მისნი, სულმოუთქმელად ელოდებიან ნაციონალების ხელისუფლების სათავეში მობრუნებას, იციან, რომ კიდევ უფრო დაწინაურდებიან და განუსაზღვრელი ძალაუფლება ექნებათ.

მივმართავ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, უფლებადამცველებს, მედიასაშუალებებს, რომ მოხდეს ჩემი სამართლებრივი რეაბილიტაცია, ჩემი და ჩემი ოჯახის მოსალოდნელი



ლევან მაჭავარიანი

საფრთხისგან დაცვა. საჭიროა დროზე შეიცვალოს ის სამარცხვინო რეალობა, რაც საქართველოს საპატრულო პოლიციაში სუფევს. მზად ვარ შევხვდე შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს თუ მას მართლაც აღელვებს საპატრულო პოლიციაში მიმდინარე არაჯანსაღი პროცესები, ვპირდები, რომ ფაქტებზე დაყრდნობით მოვახდენთ უწყების ბალასტი კონტიგენტის ლუსტრაციას. ყველანაირად ვეცადე დავკავშირებოდი ბატონ მინისტრს, მაგრამ უშედეგოდ, ვაიბერითაც მივწერე, ვიცი რომ წაიკითხა, რაზმაძესთანაც ისაუბრა ჩემს შესახებ, მაგრამ შედეგი არის ნული. ვფიქრობ, მინისტრი ასე არ უნდა იქცეოდეს, მით უმეტეს იმ პრესკონფერენციის შემდეგ ვალდებულიცაა შემხვდეს. აქვე მინდა ვთქვა, რომ მე არანაირ პოლიტიკურ განცხადებას არ ვაკეთებ, ვარ პოლიციელი, ჩემი ქვეყნის პატრიოტი, მიყვარს ჩემი სამსახური, ის მუნდირი, რომელსაც 11 წელია ვატარებ. ამიტომაც ვარ ვალდებული, რომ საზოგადოებას ვაცნობო იმ უმსგავსობის შესახებ, რაც დღეს საპატრულო პოლიციის სისტემაში ხდება. მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მას კარგად ვახსოვარ, სხვებთან ერთად მეც ხომ ვებრძოდი უსამართლობას. იმედი მაქვს, რომ იგი დაინტერესდება ჩემი საქმით და შუამდგომლობას გამიწევს, რომ აღდგეს ჩემს მიმართ სამართლიანობა, რადგან არაერთხელ გავხდი რეპრესიის მსხვერპლი.

**მანანა სუხიაშვილი**
599 51 28 24

# ვიზალიბერალიზაციის სიკეთეები და საფრთხეები

5 გვ.

რომ ევროკავშირთან და ამერიკასთან ჩვენი ურთიერთობა ორმხრივ ინტერესზეა დაფუძნებული. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან დაიწყო საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქციის განხორციელება. ვგულისხმობ ენერგეტიკული დერეფნის განვითარებას, რომელიც საქართველოში შაჰ-დენიზის და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენების საშუალებით განხორციელდა. ახლა მეორე ეტაპი მიმდინარეობს, რომელიც 2019 წლის დასაწყისში უნდა დასრულდეს. აზერბაიჯანული შაჰ-დენიზის საბადოდან საქართველოს ტერიტორიაზე 16 მილიარდმა კუბურმა მეტრმა გაზმა უნდა გაიაროს. აქედან დიდი ნაწილი ევროკავშირში გავა. ეს ჩვენთვის უსაფრთხოების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი პროექტია და ამავე დროს, დაგვრჩება დიდი რაოდენობის სატრანზიტო გაზი. პროექტის განხორციელების შემდეგ, საქართველოში რუსეთის გაზის აუცილებლობა მინიმალური იქნება. ეს არის რეალობა, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და სწრაფ აღმავლობას ხელს შეუწყობს.

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ძლიერი ქალი - ძლიერი სახელმწიფოს“ თავმჯდომარე ლალი მოროშკინა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას ევროპასთან დაახლოვების მხრივ, მნიშვნელოვან მიღწევად აფასებს, თუმცა იმ საფრთხეებზეც ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც შეიძლება, დადგეს.**



— რა თქმა უნდა, ვიზალიბერალიზაციაში პოზიტივი მეტია, რადგან საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან ევროპულ ოჯახს ვუახლოვდებით. ამ ფაქტის მნიშვნელობაზე საუბრისას, მარტო სულხან-საბას გახსენებაც კმარა, მაგრამ სამწუხაროა, რომ მოქალაქეებს ძალიან მწირი ინფორმაცია მიეწოდებათ. მათ არ უხსნიან, რომ ქვეყნიდან გასვლისთვის საჭიროა საბანკო გარანტიები, რომ არა აქვთ საზღვარგარეთ მუშაობის უფლება და არ უნდა დაარღვიონ ვადები. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ საქართველოდან გასული მოქალაქეების 70% აუცილებლად დაარღვევს ამ პირობას.

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**



— ჩვენი რეალობა. ვისაც სამოგზაუროდ ან მივლინებით გასვლა უნდოდა, ისედაც გადიოდა, შესაბამისად, ქვეყნიდან გაქცევაზეა ის ხალხი, ვინც აქ სამუშაოს ვერ პოულობს და ჰგონია, რომ ევროპაში მიზანს მიაღწევს. უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები და ადამიანებს ავუხსნათ, რომ ქვეყნიდან გასასვლელად მხოლოდ თვითმფრინავის ბილეთის შეძენა არ კმარა. რომ შეიძლება ფული დახარჯონ, ბილეთი იყიდონ და საზღვრიდან უკან გამოაბრუნონ. მით უმეტეს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ამის სავალალო მაგალითი ისრაელთან. რაც ისრაელის საზღვარზე ხდება, ძალიან დამამცირებელია. როგორც საქართველოს მოქალაქე ისეთი შეურაცხყოფილი დავრჩი, რომ არა ძალიან მაღალი რანგის სტუმარი, რომელიც გველოდებოდა, ნამდვილად უკან გავბრუნდებოდი.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს მოქალაქეების მიმართ ასეთი დამოკიდებულება უვიზო რეჟიმის დაწესების შედეგია?**

— არ ვიცი რისი შედეგია, მაგრამ მირჩევნია, ისრაელთან იყოს ვიზა, რომელიც ადამიანურად გამგზავრების საშუალებას მომცემს, ვიდრე ე.წ. უვიზო რეჟიმი, რომელიც აბსოლუტურად შეურაცხმყოფელია. ზუსტად ვიცი, რომ ჩემს პოზიციას უამრავი ადამიანი იზიარებს. მე აღარასოდეს წავალ ისრაელში, რადგან აბსოლუტური პროტესტი გამიჩნდა ქვეყნის მიმართ, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ცხოველებივით ექცევა. ცალკე, პატარა ოთახში შეჰყავთ, მთლიანად აშიშვლებენ, სინჯავენ და 90% უკან უშვებენ. ამას გეტყვით ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ისრაელში ჩასულა.

**— როგორ ფიქრობთ, ევროპოკავშირის ქვეყნებშიც იგივე მოხდება?**

— გამორიცხული არაფერია.

**— ყველამ ვიცით, რომ ევროპის ტერიტორიაზე ჩვენი უამრავი თანამემამულე არალეგალის სტატუსით ცხოვრობს, მუშაობს და საქართველოში დარჩენილ ოჯახს ინახავს. თქვენი აზრით, ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ, ამ ადამიანებს რა ელით?**

— არალეგალები იძულებული იქნებიან კანონს რომელიც ევროკავშირთან ხელშეკრულებას არეგულირებს, დაექვემდებარონ და უკან დაბრუნდნენ. ყველამ ვიცით, რომ საქართველოდან თითქმის მილიონი ადამიანია გასული და იმისათვის, რომ კანონით მინიჭებული სივრცე და ევროკავშირის კანონები არ დავარღვიოთ, ადამიანები, რომლებიც საკუთარი შრომის ფასად, საქართველოში ოჯახებს ინახავენ, უკან უნდა დაბრუნდნენ. ეს ძალიან მძიმე შედეგებს გამოიწვევს, თუმცა არანაკლებ მძიმე იქნება ხელშეკრულების პირობების დარღვევა. ერთია, როცა არ ხარ იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელიც ვიზალიბერალიზაციას გულისხმობს და მეორეა, როცა ხარ და უკან „გამოგაპანღურეს“. ეს ნიშნავს, რომ ევროპიდან „მგლის ბილეთით“ მოგიწევს წამოსვლა და ამ საფრთხის წინაშე რეალურად ვდგავართ.

**შეგახსენებთ, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეები თავისუფლად იმოგზაურებენ შენგენის ზონაში და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში - რუმინეთში, ბულგარეთში, ხორვატიასა და კვიპროსში, ასევე უვიზოდ მიმოსვლა შესაძლებელი იქნება ისლანდიასთან, ლიხტენშტეინთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან. საქართველოს მოქალაქეებს ვიზა დასჭირდებათ დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ჩასასვლელად. მოკლევადიანი ვიზიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, ოჯახის წევრების/ახლობლების მონახულება, ბიზნეს-შეხვედრები, მოკლევადიანი სასწავლო და გაცვლითი პროგრამები/ტრეინინგი, კურსები, კულტურულ ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, მკურნალობა და სხვა. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# რატომ უთხრა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ვლადიმერ ხომერიკს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი?

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის" პრეზიდენტს, რუსეთის მოქალაქეს, პროფესორ ვლადიმერ ხომერიკს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უთხრა.

საგულისხმოა, გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის დღევანდელი მინიმალური ფუნქცია-მოვალეობები იმდენად შეიზღუდა, რომ თავისუფლად შეიძლება ვთქვათ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პრეზიდენტისეული კონსტიტუციური უფლება ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაც გახლდათ, რაც იმას მიუთითებს, რომ პრეზიდენტი და მისი აპარატი განსაკუთრებული ინტერესით და დაწვრილებით უნდა იხილავდეს ამ სახის თითოეულ თხოვნას, მით უფრო, ბატონი ვლადიმერ ხომერიკის შემთხვევაში, როდესაც არსებობდა იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის პოზიტიური დასკვნა მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტს იმდენი „ტვირთი" მაინც უნდა აეღო თავის თავზე, რომ საკუთარი უარი დაესაბუთებინა ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების თანახმად და არ გამოეყენებინა მის მიერვე სახელმძღვანელოდ მიღებული ინსტრუქცია, რაც წინააღმდეგობაში მოდის საკანონმდებლო პრინციპებთან და უბრალოდ არ წაეყრუებინა ამ საკითხისთვის და პასუხის გაუცემლობა, არც დადებითისა და არც პოზიტიურის არ ჩათვლილიყო უარყოფით პასუხად.

**„საერთო გაზეთი" კომენტარისთვის „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის" პრეზიდენტს, პროფესორ ვლადიმერ ხომერიკს დაუკავშირდა.**

— მას შემდეგ, რაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისმა დანაყოფმა შეისწავლა რა ჩემი საქმე და თხოვნა მოქალაქეობის შესახებ საფუძვლიანად, რის შემდგომაც დადებითი რეკომენდაცია გასცა ჩემთვის მოქალაქეობის მონიჭებაზ. ის, რაც პრეზიდენტის აპარატში მოხდა, სრულიად მოულოდნელი და ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო.

დღეს საქართველოში, ისევე როგორც სააკაშვილის დროს, ათასობით გადამთიელს - თურქებს, ჩინელებს, ინდუსებს, არაბებს და სხვებს ურიგებენ საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო ჭეშმარიტ თანამემამულეებს, სულით და ხორცით ქართველებს მოქალაქეობას არ აძლევენ. ყოვლად უმიზეზოდ ღირსეული ადამიანებისათვის მოქალაქეობაზე უარის თქმა წარმოუდგენელი რამაა, მით უფრო, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე. გირჩევთ, დაფიქრდეთ იმაზე თურქების რა რაოდენობა ცხოვრობს აჭარაში, განსაკუთრებით ბათუმში, ასევე არ დაგავიწყდეთ მათი პრეტენზიები ამ რეგიონზე და ამ ლამაზი მხარის დაკარგვის საფრთხე ყარსის მოლაპარაკების თანახმად. ეს ხომ არ არის ნამდვილი მოტივი, რომ მე, ჭეშმარიტ ბათუმელს, არ მომცეთ ჩემი სამშობლოს მოქალაქეობა? მოქალაქეობა ჩემი სამშობლოსი, რომლისთვისაც მე და ბევრ სხვა ღირსეულ ადამიანსაც ბევრად უფრო მეტი გაგვიკეთებია საქართველოსთვის, ვიდრე დღევანდელ მოქმედ პრეზიდენტს. დიახ, მართალია, მე არ აღვზრდილვარ თქვენგან განსხვავებით სოროსის იდეოლოგიით და მისი ფულით და არ მიმუშავია და მიმსახურია იმ დაწესებულებებში, რომელსაც იგი აფინანსებდა, მაგრამ ეს არ არის მიზეზი იმისთვის, რომ მოქალაქეობაზე უარი უთხრათ ადამიანს, რომელიც დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, კერძოდ, ბათუმში და არასდროს შეურცხვენია თავისი სამშობლო, ყოველთვის იცავდა მის ჭეშმარიტ ინტერესებს, თუმცა სააკაშვილის ხროვა ჩემი პიროვნების და ჩემი სიკეთის ბოროტებად წარმოჩენას ყოველთვის ცდილობდა.

**— ბატონო ვლადიმერ, იქნებ მოკლედ მოგვიყვეთ თქვენი პიროვნების შესახებ და ასევე იმ მოვლენებზე, რაც მოყვა თქვენს სურვილს გამხდარიყავით თქვენი სამშობლოს მოქალაქე ?**

— მე, ვლადიმერ ხომერიკი ვარ ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი საერთაშორისო აკადემიის წევრი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, ასევე უზბეკეთის მეგობრობის ორდენის კავალერი, ყაზახეთის საპატიო ინჟინერი. დაჯილდოებული ვარ მრავალი აკადემიის მედლებით (აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, უკრაინისა და ესტონეთის) ვარ ადამიანი, რომელიც ხელს ვუწყობ რიგი ექიმებისა და მეცნიერებათა კანდიდატების მომზადებას ზემოაღნიშნული ქვეყნებისათვის, ასევე საქართველოსთვის. ადამიანი, რომელიც არასდროს ვმსახურობდი და ვმუშაობდი და არ მქონია კავშირი სპეცსამსახურებთან და სათანადო ორგანოებთან. ვარ ადამიანი, რომელმაც ახალგაზრდობაში დაიცვა საქართველოს სპორტული ღირსება კრივის რინგზე, ვიყავი კრივის მწვრთნელი, მოვამზადე მთელი რიგი გამორჩეული ადამიანებისა და სპორტსმენებისა საქართველოსთვის. მე ვარ პიროვნება, რომელიც არასდროს იყო გარეული დანაშაულებრივ ქმედებებსა და კავშირებში. პიროვნება, რომელიც 65 წლის განმავლობაში ცდილობდა ყოფილიყო პატიოსანი და პირნათელი საკუთარი ნაციისა და ქვეყნის წინაშე. და ყველგან ასახელებდა და წინ აყენებდა საკუთარ სამშობლოს, მის კულტურასა და თვითმყოფადობას. მე ვარ ადამიანი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს, რომელიც, საბოლოოდ, თავად ქართველმა ხალხმა მოიშორა თავიდან. ყოველთვის ვიცავდი საქართველოს ინტერესებს რუსეთში. კერძოდ, მრავალი წლის განმავლობაში ვაღრმავებდი და ვაძლიერებდი კულტურულ, სამეცნიერო, სასულიერო და საზოგადოებრივ კავშირებს ქართველ და რუს ხალხს შორის. მე ზუსტად ის ადამიანი ვარ, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა საქართველოში ათწლეულების განმავლობაში, რომელსაც საქართველოში აქვს მშობლიური სახლი და ჰყავს უახლოესი ნათესავები.

არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ განცხადების გავრცელებიდან მალევე, ინტერნეტ-სივრცეში ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ და ორკესტრირებულ, ცილისმწამებლურ კამპანიას ჩემს წინააღმდეგ. საწყენია, რომ ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სამშობლოსთვის არაფერი სახეირო გაუკეთებიათ, ბინძურ დაკვეთებს ასრულებენ ისე, რომ საკითხის არსშიც ვერ ერკვევიან. შეურაცხყოფას და დაუსაბუთებელ ბრალდებებს დაკვეთით აჟღერებენ. საინტერესოა, რატომ წამოვიდა ასეთი ორგანიზებული ტალღა დაუსაბუთებელი და არაფრით გამყარებული ცილისწამებისა და ჭუჭყისა? მინდა ყველა ცილისმწამებელს განვუცხადო, რომ ჩემთვის გასაგებია, ვინ, ან რა მართავთ და ვაცხადებ, რომ ვიღაცის მიერ ორგანიზებული აზრები და სახედაკარგული ტყუილები აბსოლუტურად არ მაღელვებს, მეტიც,ეს ყველაფერი ჩემს განწყობაზეც კი ვერ იმოქმედებს. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ცილისწამებისა და დაუსაბუთებელი ბრალდებებისათვის თქვენ მოგიწევთ პასუხისმგებლობა, როგორც კანონის, ასევე თქვენი სინდისისა და ჩემს წინაშე. ასე რომ ღმერთის გეშინოდეთ!

დაბოლოს, ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოში სამართლიანობის პოვნა ჯერ კიდევ შესაძლებელია, ამიტომაც ჩემი იურისტი, **ირაკლი კერესელიძე** და მისი იურიდიული კომპანია ამზადებს სათანადო სარჩელს, რომლითაც მივმართავთ სასამართლოს და ვაიძულებთ პრეზიდენტს, კანონიერი გზებით სამართლიანად და კანონშესაბამისად გადაწყვიტოს ჩემი საკითხი.





**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

®

# სახელმწიფომ აირჩია უხელისუფლებობის რეჟიმი – მარგველაშვილს ვინ ჰკითხავს? კვირიკაშვილს ვინ ჰკითხავს? ვის ჰკითხავს, აბა?!

## გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ბატონი სოსო მანჯავიძე



**— ბატონო სოსო, უკვე მუშაობს კომისია, რომელმაც კონსტიტუციაში ცვლილებები უნდა შეიტანოს. როგორია თქვენი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— დავაკვირდეთ ჩვენს ირგვლივ ქვეყნებს — სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთს.

ამ ქვეყნების ლიდერები სრულად აკონტროლებენ თავიანთ სახელმწიფოებს.

მაგალითად, პუტინისთვის პრობლემად არ დგას საკითხი, ვთქვათ, ყაზახეთში ვის დაელაპარაკოს, რადგან იცის, რომ ნაზარბაევი უფლებამოსილიცაა და პასუხისმგებელიც. აზერბაიჯანის საკითხებზე უნდა ელაპარაკოს ალიევს და ა.შ. ცხადია, ქვეყნების ლიდერებთან ან თანამშრომლობენ, ან კამათობენ. მაგრამ ვისთან უნდა ილაპარაკოს, დავუშვათ, პუტინმა საქართველოს შემთხვევაში გარკვეული სახის სტრატეგიული დანიშნულების დიალოგი რომ მოინდომოს?! პრაქტიკულად, გამორიცხულია, რომ ჩვენ საერთოდ ვინმე დაგველაპარაკება სერიოზულად, რადგან ხელისუფლების არც ერთ შტოს არ ჰყავს სრულად უფლებამოსილი მმართველი — არც პრეზიდენტია, არც პრემიერ-მინისტრი..

მხოლოდ ჩვენნაირი ისტორიული რომანტიზმით შეპყრობილ ხალხს შეეძლო ეფიქრა, რომ საქართველოში მოსალოდნელი იყო ჩამოყალიბებულიყო კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა. არადა, ეს სრული აბსურდია — ამ ეკონომიკით, ამ გარემოცვაში სრული ზეაბსურდული სიტუაციისკენ მივდივართ.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მმართველები არ გვყავს. თუ მმართველები არ არსებობენ, სახელმწიფოც არ არსებულა.**

— დიახ, სახელმწიფოებრიობა აღარ არის და ამას ბუნებრივი შედეგები აქვს.

კარგი, ასე ვთქვათ — გვაქვს სახელმწიფო, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ მსოფლიოში უნათესავო ხალხი ვართ.

ჩვენი მეზობელი სომხეთი, მაგალითად, მსოფლიოსთან დაკავშირებულია დიდი სომხური დიასპორით, აქვს დიდძალი ფინანსები და სტრატეგიული დაგეგმვის მქონე ჯგუფები, რომლებიც, შეიძლება, მსოფლიოში არიან გაფანტულნი, მაგრამ შესწევთ უნარი, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივად დაგეგმონ სტრატეგიული მოქმედებები.

სხვა ჩვენი მეზობლები — აზერბაიჯანი და თურქეთი, ერთი მოდგმის ხალხია, უმჭიდროესი კავშირებით.

ირანი და რუსეთიც არ გამოგვრჩეს და ჯამში გამოდის, რომ ჩვენ ამ ორ დიდ სამყაროს შორის იზოლაციაში ვიმყოფებით, ნელ-ნელა ვილევით, რადგან ვერ ვუძლებთ გარედან მოწოლილ დაძაბულობას.

ერთადერთი, რაც გვაკავშირებდა დანარჩენ მსოფლიოსთან, ეს იყო რელიგიური ხაზი რუსეთთან, მაგრამ ეს ხაზიც გადაკვნიტეს ქართველმა ნეოლიბერალებმა.

**— ბატონო სოსო, სანამ ვიზალიბერალიზაციას მივიღებდით, მანამდეც გარბოდნენ ქართველები უცხოეთში, რიცხოვნობითაც ძალიან შევმცირდით. რას გაურბიან ქართველები საქართველოდან?**

— დიახ, გაქცევა თითქოს ეროვნულ მოთხოვნილებად იქცა, რადგან მოსახლეობა ჩიხს გრძნობს და იმის მაგივრად, რომ პრობლემებისთვის გვეშველა სახელმწიფომ აირჩია უხელისუფლებობის რეჟიმი — მარგველაშვილს ვინ ჰკითხავს, კვირიკაშვილს ვინ ჰკითხავს, ვის ჰკითხავს, აბა?!

ძალიან დიდი სისულელეა, ველოდით გარედან, რომ ვინმე გვიშველის, ან რაიმე სარგებელს მოგვიტანს. კაცობრიობა დღემდე იმ სტადიაშია, რომ სუსტს წაართვას და თვითონ გაძლიერდეს.

თუ არ იბრძვი — კარგავ, თუ არ იცავ — გართმევენ, ეს უბრალო პრინციპია და ნუ ვადანაშაულებთ „მეგობრებს“ ან სხვა ვინმეს, ვინც ჩვენი მენტალობის დეფორმირებას ცდილობს, ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ვიღაცას შევეცოდებით და კეთილი ნებით დაგვეხმარება.



ამერიკაში უკვე შეიცვალა მიდგომები, ყველა ხედავს, როცა იწყება ჩიხი, საჭიროა გამოსავლის პოვნა.

საქართველო კი კვლავ რჩება ლიბერალიზმის ფორპოსტად.

პარადოქსალური ამბავი გვჭირს — ჩვენ გახლავართ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის აშშ-ის პრეზიდენტის ოპოზიციონერები. მხარს ვუჭერთ იმ ძალებს, რომლებსაც სურთ კონფლიქტი რუსეთსა და აშშ-ს შორის, აშშ-სა და თურქეთს შორის, რუსეთსა და თურქეთს შორის. მოკლედ, ჩვენ ამერიკის არჩეული პრეზიდენტის, რუსეთის არჩეული პრეზიდენტის და ჩვენი მეზობელი სუპერსახელმწიფოს — თურქეთის პრეზირენტის ერდოღანის მოწინააღმდეგეები ვართ.



დღეს ჩვენი მოკავშირე მსოფლიოში ტრამპის მოწინააღმდეგე ძალებია იგივე ევროსაბჭოსა და ევროკავშირში. სხვა არაფერს ნიშნავდა მაკკეინის დახვედრა დიდი ზარზეიმით, რომელმაც, ვინ იცის „დაამშვიდა“ ქართველი ლიბერალები — ნუ გეშინიათ, მალე ტრამპს გადავაგდებთო. შემდეგ ეს მაკკეინი უკრაინაში ჩავიდა და სრულმასშტაბიანი ომის პერსპექტივა დასახა — შეუძლებელი რომ გახდეს მოლაპარაკებები პუტინსა და ტრამპს შორის.

როგორც ზემოთაც ვთქვი, ჩვენ გადავიქეცით მარგინალური ლიბერალიზმის ფორპოსტად.

სამწუხარო კიდევ ის არის, რომ საქართველოს ეკლესია რჯულის კანონს აღარ მისდევს. ავიწყდება, რომ ცოცხალია ეკლესია და განუწყვეტელი ადაპტაცია სჭირდება რეალობასთან.

საქართველო ჩამოყალიბდა ქვეყანად, სადაც მართლა „ყველაფერი მოსულა“ და თანდათან მძიმდება ვითარება, განსაკუთრებით ზნეობრივი თვალსაზრისით.

ძალიან უიმედო საუბარი გამომივიდა, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ძლიერი რეგიონები ძლიერი




### ყვარლის გამგეობა სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად

სოფელ კუჭატანში მცხოვრები ელენე ბეგლარაშვილი, რომელიც შვილებმა მიატოვეს, წლებია ლოგინს არის მიჯაჭვული და მას 26 წლის შვილიშვილი მარტო უვლის. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ილია მზექალაშვილის დავალებით, მასთან მივიდნენ გამგებლის წარმომადგენელი ვალერი გოქსაძე და სხვა თანამშრომლები, რომლებმაც სოციალურად დაუცველ ოჯახს საკვები პროდუქტები და სათბობი შეშა მიუტანეს. ყვარლის გამგეობა ბეგლარიშვილების ოჯახს საჭირო მედიკამენტებითაც სისტემატურად ეხმარება.

### დედოფლისწყარო – შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ქ. სიღნაღის იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრა გაცნობითი ხასიათისა იყო.

გაცნობებთ, რომ სიღნაღის იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საოჯახო სამართლიდან გამომდინარე დავები; მემკვიდრეობის სამართლიდან გამომდინარე დავები; სოციალური დახმარება და პენსია; დევნილთა უფლებები; ჯანმრთელობის დაცვა და პაციენტთა უფლებები. პირი სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარებით, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ან ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე თავად ვერ გასწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

### ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ლომთაძე სისტემატურად სტუმრობს მუნიციპალიტეტის სოფლებს და ადგილზე ეცნობა სოფლის მკვიდრთა პრობლემებსა თუ სურვილებს. ამჯერად მალხაზ ლომთაძე იმყოფებოდა ჭყვიშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭყვიშში, ესტუმრა საბავშვო ბაღს, გაეცნო აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობებსა და სასწავლო გარემოს.

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2017 წელს 17 სკოლის ფინანსური მხარდაჭერა იგეგმება

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს 17 საჯარო სკოლას სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გარკვეული თანხა გამოეყოფა.

ჯუმის საჯარო სკოლას — სასმელი წყლის მომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის;

დარჩელის №1 და №2, ინგირის №1, აბასთუმნისა და კოკის საჯარო სკოლებს — სანიტარიული კვანძის რეაბილიტაციისთვის; დარჩელის №1 სკოლაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციაც იგეგმება;

ოქტომბრის საჯარო სკოლას — ეზოს ღობის, სკოლის ფოიესა და დერეფნის რეაბილიტაციისთვის (თანადაფინანსებით);

რუხის, ყულიშკარისა და ახალკახათის საჯარო სკოლებს — ეზოს შემოკავებისთვის.

შამგონის სკოლას — სპორტული დარბაზის ფანჯრებისა და იატაკის გამოსაცვლელად;

ონარიის საჯარო სკოლას — საკლასო ოთახებში კარების რეაბილიტაციის თანხა დაუფინანსდება.

დიდინეძის საჯარო სკოლას — სააქტო დარბაზის შესაკეთებლად;

ჯიხაშკარის №1 საჯარო სკოლას — საკლასო ოთახების რებილიტაციისთვის, ხოლო №2 სკოლას — სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

აგრეთვე ბიუჯეტში გათვალისწინებულია დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომსახურების დაფინანსება. ჯამში კი საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამისთვის 90 000 ლარია გამოყოფილი.




### წალენჯიხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო პროცესი განახლდა

ახალი წლის შემდეგ ყველა საბავშვო ბაღში გაუმჯობესდა კვების მენიუ და კვება სამჯერადი გახდა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ თავი კომფორტულ გარემოში იგრძნონ.

სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, საბავშვო ბაღებში იმყოფებოდნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი ნატო კვარაცხელია და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგის ხელმძღვანელი ფატიმა კვარაცხელია.

### ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლობის დირექტორი სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, გამგებლის მოადგილემ ნატო ფულარიამ და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა საერთაშორისო ორგანიზაციის — ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორი ვინსენტ დონტო მიიღეს. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მხარეებმა თანამშრომლობის გზებსა და გეგმებზე, დევნილი და ადგილობრივი მო-




სახლეობის ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე ისაუბრეს.

### ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტები 3 173 000 ლარით დაფინანსდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2017 წლისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება შემდეგი პროექტები:

1. სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია (150 000 ლარი);

2. საღანძილის ა/ერთეულის სოფლების, ვანისა და ჩხერის გზების რეაბილიტაცია (874 700 ლარი);

3. წყალაფორეთის ა/ერთეულის სოფლებში, ონსა და ლახუნდარაში გზების რეაბილიტაცია (276 790 ლარი);

4. ხევის ა/ერთეულის სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია (276 790 ლარი);

5. ბორითის ა/ერთეულის სოფლებში, მაქათუბანსა და ვაშლევში გზის რეაბილიტაცია (492 600 ლარი).

6. ბაზალეთის ა/ერთეულის სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (55 000 ლარი);

7. მოლითის ა/ერთეულის სოფელ ქვების ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (150 000 ლარი);

8. დაბა ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია (300 000 ლარი).

მითითებულ თანხებში შედის 5-პროცენტიანი თანამონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხარაგაულში, სავარაუდოდ, აპრილის თვიდან დაიწყება.

### ბორჯომში სკოლის სპორტული დარბაზი გაიხსნა

N6 საჯარო სკოლის სრულად რეაბილიტირებული დარბაზი მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა იზოლდა ლომიძემ საზეიმო ვითარებაში გახსნეს. მოწვეული სტუმრებისთვის საგანგებოდ მოწყობილი სანახაობაც გაიმართა.

ამიერიდან ამ სკოლის მოსწავლეები კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზით ისარგებლებენ. პროექტის ფარგლებში სპორტდარბაზში დაიგო ხის იატაკი, შეიღება კედლები და ჭერი, დამონტაჟდა განათება და საკალათბურთო ფარები, გარემონტდა მასწავლებლის ოთახი და გასახდელები.

გამგებელმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცა განახლებული დარბაზის გახსნა და აღნიშნა: „სკოლები არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალო დაქვემდებარებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტი მზადაა, მომავალშიც გვერდით დაუდგეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და მოკრძალებული წვლილი შეიტანოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების პროცესში“.

დიმიტრი ყიფიანი მიესალმა აგრეთვე ღონისძიებაზე სტუმრად მყოფ ლატვიის ქალაქ მადონადან ჩამოსულ სტუმრებს. გამგებელმა დამეგობრებული ქალაქის წარმომადგენლების ინიციატივაზეც ისაუბრა: 20 ბორჯომელ წარმატებულ მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გაემგზავროს ლატვიის საზაფხულო ბანაკში და არდადეგები შინაარსიანად გაატაროს.

N6 საჯარო სკოლის დარბაზის სრული რეაბილიტაციისთ-

# საქართველოსთვის




ვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 34 000 ლარი დაიხარჯა.

### ინფრასტრუქტურული სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტში

გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე პროექტი ერთობლივად ხორციელდება:

ეწყობა გზის დამცავი ნაპირსამაგრი გაბიონები, დასრულდა ზანდუკის ხიდის რეაბილიტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით კეთილმოეწყო სარიტუალო დარბაზი. ადმინისტრაციულ შენობაში გამოიყო ამბულატორიისთვის შესაფერისი ოთახი და შესაბამისად აღიჭურვა.

ჭონქაძის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. არაგვისპირში, სრულდება ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა. ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭივილაანში, საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა დარგობრივი სამსახურების უფროსებთან ერთად დაათვალიერა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

### შიდა ქართლში ახალი გუბერნატორი დაინიშნა

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულად – გუბერნატორად კახა სამხარაძე დაინიშნა.

კახა სამხარაძე 2014-2015 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე იყო. სხვადასხვა დროს ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობის პროექტში, ასევე იყო USAID-ის მიერ დაფინანსებული ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის მენეჯერი.

კახა სამხარაძემ იოსებ ოქრომელიძე შეცვალა, რომელიც დღემდე შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა.

### შეხვედრა თემის სამედიცინო პუნქტის მედდებთან

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე მოადგილეებთან, ა(ა)იპ სოციალური სერვისების ცენტრის თანამშრომლებთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად თემის სამედიცინო პუნქტის მედდებს შეხვდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს გასული წლის შედეგებზე და ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე.

2017 წლიდან „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ პროგრამა აჭარის ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდება. პროგრამა მუნიციპალიტეტის გამგეობების დაქვემდებარებაში გადავიდა, რადგან მედდების ყოველდღიურ საქმიანობაზე ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლები უწევდნენ; თემის სამედიცინო პუნქტების მედდების სამედიცინო საქმიანობას კოორდინაციას უწევდნენ ასევე თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის სოფლის ექიმები. თემის სამედიცინო პუნქტების შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია.

შუახევში „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ პროგრამას ა(ა)იპ სოციალური სერვისების ცენტრი უზრუნველყოფს. პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 157 600 ლარით დაფინანსდა.

### 2017 წელს გორში 10 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია იგეგმება

ქალაქ გორში ათი სპორტული მინიმოედნის რეაბილიტაციის პროექტის თანახმად მოედნები მოეწყობა: ელიოზიშვილის, გორკის, ბესიკის ქუჩების მიმდებარედ, ყიფიანის, უფლისციხის, სუხიშვილის ქუჩებზე, ვერხვების ლტოლვილთა ჩასახლების, შინდისის გზ. N3-ისა და N32-ის მიმდებარედ.

სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა 1 446 270 ლარი, დამფინანსებელია მსოფლიო ბანკი.




# შინაურ მტრებს ქართული მიწის გაყიდვა სურთ!

დედამიწის ზურგზე, ალბათ, ძნელად მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც იმდენი შინაური მტერი ჰყავდეს, როგორც საქართველოს.

ახლა მოდით, დავკონკრეტდებით, თუ ვის ვგულისხმობთ ქვეყნის მტრებში. მიწა, მით უფრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნებისმიერი ქვეყნის შეუფასებელ სიმდიდრეს წარმოადგენს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ბავშვმაც იცის (ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს). სწორედ ამ სიმდიდრის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვას (!) მოითხოვენ პირსისხლიანი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათი სატელიტი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები!

უცოდინარობით მოსდით, ნამდვილად ვერ ვიტყვით. ამ იდეის ხმამაღლა ერთ-ერთი გამჟღერებელი ოთარ კახიძე პროფესიით იურისტია და სააკაშვილის ზეობის პერიოდში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზეც მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში, დღეს კი პარლამენტის წევრია. მიუხედავადი ამისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდაა. „მიწების უცხცო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვის აკრძალვით ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლა შემცირ-



დებაო“, — ცინიკურად განაცხადა თავიანთი იდეის გასამართლებლად. ამის გარდა, ისიც განაცხადა, რომ თუ გლეხს სურვილი ექნება თავისი კუთვნილი მიწა უცხოელზე გაყიდოს, რა მოხდა, ამით ეკონომიურ სარგებელსაც ნახავსო! ვერაფერს იტყვის ადამიანი, ცინიზმი უსაზღვროა.

ბატონმა კახიძემ და მისმა თანამოაზრეებმა უნდა იცოდნენ, მაგრამ თუ არ იციან, გვინდა ვუთხრათ, რომ ქართველი გლეხკაცი მიწას შვილივით უვლიდა, მისთვის ოფლსა და სისხლს ღვრიდა, მოწეული სარჩო-საბადებლით ოჯახსაც ინახავდა და ღალასაც იხდიდა. გლეხი მიწის გარეშე წარმოუდგენელი იყო. გამოყენებაც კარგად იცოდნენ — სად სახნავ-სათესი უნდა ყოფილიყო და სად — საძოვრები. ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

დიახ, შეგნებულად, გააზრებულად ითხოვენ, რომ უცხო ქვეყნის მოსახლეობას ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის უფლება. ამის მიზეზი ცალსახაა. მათ, უბრალოდ, არ უყვართ ჩვენი ქვეყანა და არც სამშობლოდ მიიჩნევენ. ეს ის ხალხია, რომლებსაც ავის მეტი ქვეყნისთვის არაფერი მოუტანიათ და კვლავაც ცდილობენ, გააგრძელონ ქვეყნის ნგრევა.

დავუშვათ, ყველა გავგიჟდით და მივიღეთ ეს დამღუპველ-დამაქცეველი კანონი. წარმოვიდგინოთ, რა იქნება თუნდაც 10 წლის შემდეგ. სავარაუდოდ, ქართველები გადამთიელების მოსამსახურეებად ვიქცევით. ადვილი შესაძლებელია, წყაროზე მისვლა და ტყიდან შეშის მოტანაც აუკრძალონ მოსახლეობას. თუმცა, ასეთი შემთხვევები უკვე დაფიქსირდა რამდენიმე რაიონში. ისიც წარმოვიდგინოთ, რომ გლეხმა გაყიდა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი. რამდენ ხანს ეყოფა მიღებული თანხა? შემდეგ რას გააკეთებს, იცის ვინმემ? ადვილი შესაძლებელია, ჯერ სოფლები დაიცალოს ძირძველი მოსახლეობისგან და შემდეგ ქართველები აღმოვჩნდეთ უმცირესობაში საკუთარ ქვეყანაში. სწორედ ამისი სურვილი და ოცნება აქვთ საქართველოს მოსისხლე მტრებს. რაც საუკუნეების მანძილზე ვერ მოახერხეს შაჰებმა და სულთნებმა, ახლა შინაური მტრები ცდილობენ, ქართველების ხელით გაგვაკეთებინონ.

ჩვენთვის ძნელი სათქმელია, თუ რატომ სძულთ ასე საქართველო, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ „მოქკავშირიდან“ მოყოლებული, სადაც გაერთიანებულები იყვნენ დღევანდელი „ნაცმოძრაობის“ წევრები, ვიმეორებთ, ავის მეტი არაფერი მოუტანიათ. ამის მიზეზი ზედმეტი ლოიალობაა, რომელსაც მათდამი ვიჩენთ.

„ნაცმოძრაობის“ დანაშაულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ახლა მხოლოდ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ოლქის გაფართოებული საზღვრებით აღდგენას, კოდორის ხეობისთვის სახელის გადარქმევას და ზემო აფხაზეთად გამოცხადებას გავიხსენებთ. შედეგი ყველამ კარგად იცის. საყურადღებო აქ ერთი გარემოებაა. აგვისტოს მოვლენების შემდეგ ნაცხროვის ბელადმა და „მხედართმთავარმა“, შლეგმა სააკაშვილმა გულმოსულმა განაცხადა: „... რას გადამაყოლეთ რამდენიმე ქვა-ღორღიანი სოფლის დაკარგვასო“. აქედანაც კარგად ჩანს, რომ საქართველო მათთვის მხოლოდ საჯლიგინო ტერიტორიაა. ახლაც ასეთია მათი მრწამსი.

არაერთხელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, საქართველოს წინააღმდეგ ომია გამოცხადებული შინაური თუ გარეშე მტრების მიერ. აქეთ — მიწები გავყიდოთო, იქით — ნარკომანია დავაკანონოთო. დედა-ეკლესიაზე შეტევა ხომ დიდი ხანია მიმდინარეობს. მალე, ალბათ, ერთსქესიანთა ქორწინების მოთხოვნითაც გამოვლენ. ხილულ თუ უხილავ ომში ქართველი ხალხი, საზოგადოება უნდა ჩაებას და გაიმარჯვოს კიდეც, თორემ, ღმერთმა გვაცილოს და, დამარცხების შემთხვევაში, საქართველო განადგურდება.

**გია ბურდული**
571 71 27 07

## ბუბა ხოტივარი:

# მაშინ, მეორე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ეს ფილმი უკვე გახალხურდა და ცნობიერებაში შევიდა, როგორც ჩვენი ყოფიერების ნაწილი. იგი ყველაზე დახურული გულისა და გონების კარებს აღებს. მაყურებელი (და არა მარტო ქართველი) სრულ თანხვედრას გრძნობს მოქმედ პირებთან, მთლიანად შედის ფილმის სტიქიაში, თითქოს ესიზმრებაო ყველაფერი და ერთ მომენტში იქნებ ახსენდება კიდეც, რომ ოდესღაც, რომელიღაც საიდუმლო დროს, აქ ცხოვრობდა, მთებში, ამ ხალხის გვერდით და თვითონ იყო აი ეს თუში! იგი აღიქვამს ყველაფერს, როგორც ერთხელ უკვე განცდილს და თითქოს ახლა, გაკვირვებული, კვლავ უბრუნდება თავის განვლილ ცხოვრებას უდიდესი ინტერესითა და თანაგრძნობით. ნუ ვიკითხავთ როგორ მოახერხა ეს სოსომ. ამის საიდუმლო ამოუხსნელია და გამოითქმება მხოლოდ გალაქტიონის სიტყვებით: ნიჭი, ბიძიკო, ნიჭი!


კადრი ფილმიდან „ქვევრი“

ეს ის ნიჭია, ღმერთი რჩეულებზე თვითონ რომ ანაწილებს, ეს ის ნიჭია, რომელიც არ მოგასვენებს, არ დაგაძინებს და გაგაკეთებინებს იმას, რაც შენში (ხშირად შენი ნების გარეშე) მომწიფდა და გადაგაღებინებს, რაც არ უნდა მოხდეს.

* * *

„რაც შენში მომწიფდა“... „ძველ ქართულ საგალობლებისგან“ განსხვავებით „თუში მეცხვარის“ გამოჩენა მაყურებლისათვის სრული მოულოდნელობა იყო. ასეთი ტიპის ასეთ ორიგინალურ ფილმს არავინ ელოდა. თუნდაც იმიტომ, რომ თითქოს უბრალო ყოფის ასე განზოგადოებულად ასახვა ეკრანზე მანამდე არც კი ენახა. ბევრს დღემდეც ეს ფილმი დოკუმენტური გონია - იმდენად მართლაც ნაღდი, იმდენად უტყუარია ატმოსფეროც და ამბავიც (ფილმის დოკუმენტურობის შეგრძნებას ვერც ნამდვილი გლეხების გარემოში შეხიზნული პროფესიონალი მსახიობი ირაკლი ხიზანიშვილი ანეიტრალებს - იმდენად ორგანულია მისი გმირიც). სიმართლის, ზომიერების, ტაქტის როგორი შეგრძნება უნდა ქონდეს ავტორს, ყველაფერი ისე რომ გამოვიდეს, როგორიც გამოვიდა! ვერც კი ხვდები, რომ ყველა კადრი, მსახიობის ყოველი მოძრაობა, ყოველი სიტყვა, ფილმის დრამატურგია, კონცეფცია - საერთოდ ყველაფერი ამ ფილმში არის ჯერ მოფიქრებული, გულდასმით დაწერილი, შემდეგ დადგმული და გადაღებული. დაამატეთ ამას გადაღების მოედანზე განუწყვეტელი იმპროვიზაციაც (სოსოს მუშაობის მთავარი პრინციპი) და გამოდის სრულიად მოულოდნელი და აუხსნელი ფენომენი - სამსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ - დიდი ფილმი.

* * *

მაგრამ რეჟისორს სულის სიღრმეში რაც არ უნდა მოუმწიფდეს, თუ ხელის შეწყობა არ ექნა, ნებისმიერი ჩანაფიქრი გადაუმწიფდება. ხელშეწყობა, მართალია, ყველაფერს კარგს უნდა, მაგრამ კინოწარმოებაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. „თუში მეცხვარის“ გადაღების შეჩერებას რამდენჯერმე აპირებდა ტელევიზიის ხელმძღვანელობა (ეტყობა, ჯერ კიდევ „ძველი ქართული საგალობლებიდან“ არ ასვენებდათ სოსოს თავიდან მოცილების სურვილი). ბრძანება მინისტრს უკვე გამზადებული ედო მაგიდაზე და როგორ გგონიათ, რა ფორმულირებით? „გადაღებული მასალის უნიჭობისა და უპერსპექტივობის გამო შეჩერდეს ტელეფილმ „თუში მეცხვარის“ გადაღებები“. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ასე იყო! ისინი თავისი ვერდიქტის უტყუარობაში დარწმუნებულნი იყვნენ: ვის რად უნდა ამდენი ცხვარ-მეცხვარე, ყველის სუნი და ვირების ყროყინი! შეკრიჭეთ მასალა, დაიყვანეთ ერთ გადაცემამდე, დაადეთ დიქტორის ტექსტი და აღნიშნეთ, რომ მეცხვარეები პირნათლად ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს და ერთგულნი არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოსიო...

აი, აქ ვნახე პირველად სოსო ჩხაიძე. ნამდვილი სოსო ჩხაიძე. არ ეტყობოდა არავითარი სასოწარკვეთა. ვერ მომერევითო! - თქვა თავისთვის და - შეასკდა ინსტანციებს. ისეთი ბრძოლა დაიწყო, ცოტა არ იყოს, ხელმძღვანელობა შეაშინა კიდეც. ფილმისა და თვით სოსოს საკითხი კვლავ უკიდურესად მწვავედ დადგა. მაგრამ რეზოს ამჯერად ვეღარავინ დაასწრო. არ ვიცი მინისტრებთან საუბრების რა საიდუმლოს ფლობდა რეზო ჩხეიძე, მაგრამ რამდენჯერაც დახურეს „თუში მეცხვარე“, იმდენჯერ შეაცვლევინა გადაწყვეტილება და გადაარჩინა ფილმი განადგურებას...

* * *

და მარტო ეს ფილმი? რომ არა რეზო ჩხეიძე, არც „უსასრულობა“, არც „ქვევრი“, არც „წკიპურტები“, არც „ერთი ნახვით შეყვარება“, არც „დარიალის ჩანახატები“, არც „ლაზარეს თავგადასავალი“ და ბევრი კიდევ სხვა ფილმი ან არ იარსებებდა, ან იარსებებდა შეცვლილი, დამახინჯებული სახით. ანუ, მოხდებოდა ის, რაც ხდებოდა ჩვენს მაშინდელ ერთიან უკიდეგანო სამშობლოში, საბჭოთა კავშირში (რომელიც სინამდვილეში არც საბჭოთა იყო, არც ერთიანი, არც კავშირი და არც არავის სამშობლო), სადაც სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი სოცრეალიზმის პრინციპებისგან განსხვავებული ფილმებისა და მათი ავტორების დათრგუნვა. საქართველოში იმ პერიოდში, ერთის შეხედვით, ასე არ იყო. ჩვენ, შედარებით, თითქოს შერბილებულ რეჟიმში ვცხოვრობდით. იმიტომ კი არა, რომ სისტემას განსაკუთრებულად მოვწონდით. არა, რა თქმა უნდა (ქართული ცენზურა მკვეთრად შერბილდა 70-იანი წლებიდან, საკავშირო კი - მხოლოდ „პერესტროიკის“ დროს). სცენარის დამტკიცებისას და მასალის ცენზურისთვის ჩვენებისას ჩვენი რეჟისორები უხმაუროდ, მაგრამ შეუპოვრად იბრძოდნენ და ავლენდნენ, ამავე დროს, საკმაო დიპლომატიურ ტალანტსაც (თუმცა, ხშირად მუშტი-კრივზეც გადადიოდნენ და ამით, სხვათაშორის, თვით ცენზორების პატივისცემასაც იმსახურებდნენ). ჩვენი მთავარი მიზანი იყო როგორმე ფილმი არ შეეჩერებინათ მის დამთავრებამდე. მთავარი იყო ფილმი შექმნილიყო მანამ, სანამ ჩაერეოდა ოფიციოზი და დაამახინჯებდა მას. ცენზურა ამას გრძნობდა და, წარმოიდგინეთ, ხშირად, უკან იხევდა კიდეც (ნუ იქნება მხოლოდ ბუნტი!) და გვაძლევდა ფილმების დამთავრების საშუალებას. აი მხოლოდ მაშინ, როცა მათთან მიგვქონდა უკვე დამთავრებული, ერთ ფირზე გადაბეჭდილი ფილმები, ხან ვიმარჯვებდით, ხან არა. თუმცა გადამწყვეტი ჩვენთვის ეს უკვე აღარ იყო: ფილმი ხომ გადაღებული იყო, ის უკვე არსებობდა, შენ შენი საქმე გაკეთებული გქონდა. თუ კი ფილმს მიიღებდნენ, - ხომ კარგი: საკავშირო ეკრანზე გაუშვებდნენ და ცოტაოდენ ჰონორარსაც მოგცემდნენ. მაგრამ, თუ ეს ასე არ მოხდებოდა, არც ამაზე ვიკლავდით თავს: ჩვენ ხომ ჩვენი ფილმი შევქმენით და, მაინცადამაინც დღევანდელ დღეს თუ არა, შემოგომ ჩვენისა იქნებ მაინც დაფასდეს, როგორც დაუსტამბავი ხელნაწერი, რომელსაც ოდესმე ვინმე მაინც დასტამბავს და წაიკითხავს.

უმთავრესი მაინც იყო პრინციპი: არ წაგბლიოს სულმა და არ მიეყიდო კომუნისტებს, დაიცავი ხელოვანის დამოუკიდებლობა ყველაფრისგან, გარდა სინდისისა... ეს კი არც ისე


კადრი ფილმიდან „თუში მეცხვარე“

ადვილი იყო, რადგან, კომუნისტური იმპერია დიდ ზეწოლას ახდენდა ხელოვანზე (განსაკუთრებით ნიჭიერსა და სინდისიერზე): ასაჩუქრებდა, აშინებდა, იჭერდა, ადრე კი ანადგურებდა კიდეც. ხელოვანს ხოტბა უნდა შეესხა მისი ბელადებისათვის, უნდა შეელამაზებინა (ანუ - დაემახინჯებინა) ისტორია, დღევანდელი დღე, განუწყვეტლივ უნდა ემტკიცებინა, რომ არავითარი ღმერთი არ არსებობდა, რომ მომავალი ეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ კომუნიზმს, რომ ამ იდეოლოგიის გარეშე კაცობრიობას დაღუპვა ელოდა და, რაც მთავარია, იმჟამად ძალაუფლება სწორედ იმათ ქონდა, ვისაც უნდა ქონოდა და ჩვენთვის, საბჭოთა ხალხისათვის, მათ მონობაზე დიდი სიხარული რა შეიძლება ყოფილიყო!

ჩვენ გვძაგდა ყველაფერი ეს, გვძაგდა ჩვენი დამპყრობელი კომუნისტური იმპერია მისი ბინძური წარსულითა და სრულიად უპერსპექტივო მომავლით. ჩვენ ვიცოდით, რომ ილიაც მართალი იყო, ვაჟაც და დოსტოევსკიც, რომლებიც იმთავითვე მიხვდნენ, რომ ბოლშევიკებს სოციალიზმ-კომუნიზმის მითოლოგია მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ჭირდებათ და რომ არავითარი ნათელი მომავალი მათ სინამდვილეში არა აქვთ. ჩვენ ვიცოდით, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ამ მოდერნიზირებულ იმპერიას იცავს ატომური იარაღი, უთვალავი არმია, უშიშროების სამსახურები, სოციალისტური დემაგოგია და უძლიერესი ფინანსები, - ისტორიულად იგი მაინც განწირული იყო, როგორც ატავისტური გადმონაშთი, როგორც ყველაფერი უზნეო და უსამართლო. ჩვენ ვიცოდით, რომ ოდესმე იგი აუცილებლად დაინგრეოდა. მაგრამ პირდაპირ შეტაკებას ვერ ვბედავდით და არც მიგვაჩნდა სწორად: ვიცოდით, რომ ამას მაშინ არავითარი აზრი არ ქონდა. ურჩხული თავისი არსებობის ზენიტში იყო და მის წინ უაზრო ახტომით იგი თათის ერთი მოსმით მოსპობდა იმასაც, რაც მას აქამდე სასწაულად გადაურჩა. და ამ შემთხვევაში ჩვენი გარდაუვალი დამარცხებით მხოლოდ გავაძლიერებდით მას და ვეღარც ფილმებს შევქმნიდით. ჩვენ ვცდილობდით ჭკუით გვეჯობა ურჩხულისთვის და, შესაძლებლობების ფარგლებში, იმ დიდძალი სახსრების ნაწილი მაინც, რომელსაც იგი საკუთარი პროპაგანდის მიზნით ხარჯავდა კინოწარმოებაზე, გამოგვეყენებინა უფრო ადამიანური და ეროვნული ფილმების შესაქმნელად. აი ეს იყო ჩვენი მიზანი და მას ხანდახან ვაღწევდით ხოლმე...

საერთოდ კი, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში და კინოს სამყაროშიც თითქოს (თითქოს კი არა, მართლაც), იყო რაღაცნაირი ერთობა. ერთობა ხალხისა, რომელსაც საერთო მტერი ჰყავს. ეს მტერი საბჭოთა იმპერია იყო. ამ ყველა დროის ყველაზე ბოროტი სისტემის პრესის ქვეშ მყოფთ, გვესმოდა, რომ სისტემა სერიოზულად მუშაობდა ერების გამოთაყვანებაზე. მათ შორის, რუსი ერისაც. არ ვიქნები მართალი, თუ არ ვიტყვი, რომ საბჭოთა იმპერიის მიმართ ანტაგონიზმი, უფრო ზუსტად კი სიძულვილი, ყველაზე ძლიერად სწორედ რუსებში იგრძნობოდა. იმპერია, ბოლოს და ბოლოს, ხომ ყველას ჩაგრავდა, თავის ერთგულ მსახურებსაც კი. Это империя не русского народа, это империя посредством русского народа. Нам от них хуже всех! - სინანულით გეტყოდნენ ხოლმე ჩუმად (თუკი გენდობოდნენ). ეს მეტად სათუთი და სადაო თემა შემდგომში ბრწყინვალედ დაამუშავა მერაბ მამარდაშვილმა. ჩვენ კი ჩვენი ფილმებით ვცდილობდით როგორმე მაინც, წინ აღვდგომოდით სულიერი გადაგვარების ინსპირირებულ პროცესს და რაღაც მაინც შეგვექმნა ღირებული...


კადრი ფილმიდან „წკიპურტები“

(გაგრძელება იქნება)

# ულვაშმოპარსული ქვეყანა და კურდღელი უკრაინული ჩირგვიდან





სააკაშვილმა მოგვიკითხა უკრაინიდან: მოგვიკითხა წვერიანები, ულვაშიანები, წვერ-ულვაშ გაპარსულები, საულვაშეზე ღინღლდაფენილები, ულვაშშეზრდილები (ანუ, კონკრეტულად გოცირიძე)... და დასძინა: მე რომ საქართველოში ჩამოვედი, კარიკატურული ქვეყანა დამხვდა, სადაც ხალხი დადიოდა ულვაშებით, აეროდრომი-ქუდებით, იცოდნენ ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოების თქმა და მეტი არაფერიო...

ისა და, საიდან რომ ჩამოხვედით, ბატონო?

ისა და, ამ კარიკატურულმა ქვეყანამ, თავისი ულვაშებით, აეროდრომი-ქუდებით, ცეკვა-სიმღერითა და სადღეგრძელოებით არ აგირჩიათ პრეზიდენტად, განა?

ანუ, კარიკატურებმა აგირჩიეთ, პრეზიდენტად, ბატონო მიხეილ? ულვაშიანი კარიკატურების პრეზიდენტი ბრძანდებოდით, ჩემო ყოფილო პრეზიდენტო?

პაპა კარლო მომიკითხეთ და ცხვირი მოისინჯეთ ხოლმე, ცხვირი...

„კურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“...

ჩამობრძანდით, ჩემო პრეზიდენტყოფილო, ჩამობრძანდით, იქნებ ახლაც წვერითა და ულვაშით დაგხვდეთ, იქნებ კიდევ გვახსოვს ქართული მრავალჟამიერი და ქართული ცეკვა, იქნებ ახლაც ვამბობთ ღვინით სავსე თასით სადღეგრძელოებს...

ეჰ, სად ჩამოვა ჩემი პრეზიდენტყოფილი, სადაც არის, ლამის იქედანაც გამოაგდონ, ლამის მოქალაქეობა ჩამოართვან, ლამის ექსტრადირებით გამოგვიგზავნონ...

მაგრამ, მიშა მაგარია... მიშამ სიამაყით შეახსენა უკრაინას, ქართველმა ხალხმა მოქალაქეობა ჩამომართვა, მხოლოდ თქვენი მოქალაქეობაღა მაქვს შერჩენილი და ვერ ჩამომართმევთ, ჰაერზე ვერ დამტოვებთო... მიშა ისეთი მაგარია, რომ მოწვევის გარეშეც მიდის ინაუგურაციაზე და შემოღობილის მიღმა, კისერწაგრძელებული გასცქერის დაპატიჟებულებსა და მიწვეულებს... რა ჰქნას, ახლა ვერ დანებდება... ახლა თავის გადარჩენისთვის უბდა იბრძოლოს... ჩემი პრეზიდენტყოფილი... მეგობრებს მიუტოვებია, მტრებსაც დავიწყნია...

„კურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“...

გოცირიძემ გამოჰყო ჩირგვიდან მოკლე (ფეხი, ენა, თავი - რა ვიცი, რომელიც გნებავთ): - მეც აქა ვარო... ულვაშიანი და „სტრასნი ღრუზინიო“... მართალია, საააკაშვილი, ეგეთი ქართველები დახვდნენო...

ულვაში იყო ქართველი სინდისნამუსის ეტალონი, მაგრამ საააკაშვილმა გაპარსაო... - სინდის-ნამუსი დაფიქრებულა და უცინია: - უფრო სწორედ, ეგ თქვენი საააკაშვილია ბეწვზე გადარჩენილი, რომ არსად გადამეყარაო...

გადაგეყარათ რა, ბატონო იოსებ , „კურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“...

არა, მეორეს მხრივ, რას ვერჩით ადამიანს, დაგვპარსა ულვაში და სინდის-ნამუსი, დაგვხადა აეროდრომი-ქუდები და კი დაგვიდგა „შლოპანცის“ ძეგლი... ახალ ქართველს, ერთი „შლოპანცის“ ძეგლი რავა არ უნდა ედგეს...

არა, მაგარია მიშა... არ ნებდება, ჩირგვიდანაც არ ნებდება და ჩირგვიდანაც ცდილობს საქართველოში „პონტის“ არევას, „პონტის“ შემქნელი ხალხის მოქრთამვას, „პონტის“ ბიჭებისთვის ვაიბერში ბრძანებების გაცემას...

დაქალი გამოგვივარდა, დიდი დაქალი: - მიმოწერას გეფიცებით, არ ხმარობს საააკაშვილი ვაიბერსო...

რა საყვარელი ხარო, საიდან იცი შენაო, საიდანო? შენ ისიც გეცოდინება, ვაიბერს თუ არ ხმარობს, აბა, რას ხმარობსო? აბა, ვის ხმარობსო?

ორი ათია?

სიჩუმეზე გიცან, სირსელ!

არა რა, მიშა მაგარია, ულვაში დაგვპარსა და წვერი მოგვაშვებინა... მოდაა ეგეთი, ბატონო რომან... ჰოდა, წვერსა ჰქვიან „ლამბერ-სექსუალი“...

- „ლამბერ“, ანუ ლესბოსელებისო? - მკითხა ასაკოვანმა მეზობელმა...

გაპარსა თუ ულვაში-თქო - ვკითხე, მაგრამ ისე იყო გართული მონოლოგით, არ მიპასუხა... ვერ მიპასუხა...

მეო, მე ულვაში საბჭოთა ჯარში მოვუშვი ველურობის ნიშნად, ველურობა მაწყობდა მაშინო... მერე წვერიც მოვუშვი სტუდენტობის დროს, მციოდაო... ახლა ჩათვალეთ, მოდას მივსდევ, სალვადორ დალის ფანი ვარო...

მისდევთ რა, ბატონო რომან, შეიძლება მისდევთ კიდეც, მაგრამ დაეწიეთ რო? რომელ სალვადროს თქვენ გევხართ ან რომელ დალის, მაგრამ პრინციპში, ახლა მაგისთვის საერთოდ არ მცხელა, ახლა „ველური“ რომან გოცირიძის წარმოდგენით არის დაკავებული ჩემი მდიდარი ფანტაზია... დამბურძგლა...

იოსებ სტალინს ჯერ უტირია ცრემლით: - ბეწვზე ვართ გადარჩენილნი მე და ჩემი ულვაშიო... მერე რა ვუპასუხო, მე საიდან ვიცი: - მე არ ვარ, ბატონო, ის, მოდას რომ დასდევს, გოცირიძეა ეგ, გოცირიძე და მაგას ეცოდინება-თქო - გამოვუშვი თქვენსკენ... აბა, თქვენ იცით, როგორ დაწვრილებით და სამაგალითოდ აუხსნით...

ბეწვზე ვართ, გოგოებო, გადარჩენილები, კიდევ ცოტაც და ჩვენი გაპარსვაც მოუნდებოდა, კიდევ ცოტაც და ჩვენც რამე სექსუალურს მოგვაშვებინებდა... კიდევ ცოტაც და ქალის „შლოპანცის“ ძეგლსაც დადგამდა...

„კურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“...

ვის მოპარსე წვერ-ულვაში, ვინ დადიოდა აეროდრომი-ქუდებით - პროფესორ-აკადემიკოსები? რომ მოხვედი და ჩარეცხე - ის პროფესორ-აკადემიკოსები?

ვინ არ იცოდა ცეკვა-თამაშის გარდა არაფერი - ქართველმა? იმ ქართველმა სისხლით და ოფლით რომ მოიტანა აქამდე „მამული, ენა, სარწმუნოება“ ? რაცა ჯიჯგნეს, ეყოთ, რაცა ჯიჯგნე, გეყოს!

სად გეცალა ულვაშზე წუხილით, როგორც მახსოვს, ქალებზე ფიქრში ათენებ-აღამებდი... ხან მკერდი მოაჭამაო, ხან ხელში აიყვანაო, ხან გაუვარდაო, ხან დაუვარდაო...

სად გქონდა დრო აეროდრომი-ქუდების საკონტროლებლად, ბიზნესმენები გყავდა დასასჯელი, ქონება გქონდა წასართმევი, ადამიანები გყავდა დასახოცი და მოღალატეებად შესარაცხი...

ნეტამც, დაგადეპორტონ, ულვაში უნდა მოგაშვებინო და მოგპარსო, მოგაშვებინო და მოგპარსო... აბა, მართლა „შლოპანცით“ ხომ არ გატარებ...

მანამდე კი, ილაპარაკეთ ჩირგვიდან რამდენიც გინდათ, რაც გინდათ, როცა გინდათ, ვისთანაც გინდათ... მტერსაც დავიწყნიხართ, მიხეილ...

თუ ეს უაზრო საუბარიც მოგწყინდებათ, არც მაგაზე იდარდოთ:

- სიჩუმეზეც გიცნობთ, ხირხელ...

„კურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“...

გამოათრიეს ეგ ბაქი-ბუქა იმ ჩირგვიდან, ბოლოს, ხო?

თქვენი ჯერიც დადგება, ბატონო მიხეილ... ჩირგვია, კოშკი კი არა... კოშკი, თორემ, ცხრა თავიანი დევი არ გიცავდეთ... ეჰ, დევი ეძახე და ნაცარქექიაც კი მოერია...

ასე რომ, დადგება თქვენი ჯერიც, უცილობლად დადგება...

თამუნა კუშელავა
555 46 08 04



# მე და ჩემი ჩუღურეთის გამგეობა

წლების მანძილზე არ დამჭირვებია ჩემი რაიონის, ჩუღურეთის, გამგეობა, წლების მანძილზე ერთხელაც კი არ მიმიმართავს მისთვის... არც ვიცოდი, რას აკეთებდნენ და როგორ, ვის ეხმარებოდნენ და რამდენჯერ...

შარშან, როცა ჯანდაცვის სისტემამ ჩემს შვილს გადაუდებელი დახმარების დაფინანსებაზე უარი უთხრა - გამგეობამ გადაგვარჩინა საშვილიშვილო ვალის დადებას, დროულად და სრულად დაგვაფინანსა; როცა საავამდყოფოები მოვიარე და ჩვენი დაზღვევით დიაგნოზის დასმა ვერ მოვახერხე - ისევ გამგეობა გავიხსენე და ამჯერადაც მყისიერად დაგვიდგა გვერდით.

- წელიწადში ერთხელ, ერთჯერადი ფულადი დახმარებაც შეგვიძლია გაგიწიოთო - დამაკვალიანა...

ამას წინათ მრავალშვილიანი დედა გავიცანი, სხვა რაიონში მაცხოვრებელი. ამაოდ ცდილობდა ავადმყოფი შვილისთვის ოპერაციის თანხის მოპოვებას. დავამშვიდე: - თქვენს გამგეობას მიმართეთ-თქო... - მივმართე უკვე ხუთი კვირის წინ, მაგრამ პასუხიც არ მიმიღიაო...

პირველად მეწვია მადლიერების გრძნობა: - გამოდის, ყველა გამგეობა არ მუშაობს ისე, როგორც ჩემი გამგეობა, ყველა გამგეობაში არ სხედან გულისხმიერი ადამიანები, ყველა გამგეობა არ განიხილავს ყოველკვირეულად შემოსულ ასობით განცხადებას და არ რეაგირებს მყისიერად... და პირველად ვიგრძენი, რომ ჩუღურეთის გამგეობა ცალკე აღებული სახელმწიფო დაწესებულება კი არ არის, არამედ ჩემი გამგეობაა, ჩემი, ისევე როგორც ჩუღურეთის რაიონში მაცხოვრებელი ნებისმიერი ადამიანის გამგეობა...

პირადად მე და ჩემს შვილს, გამგეობამ ჯანდაცვის სამინისტროსა და საავადმყოფოების საკათებელი საქმე გაგვიკეთა, პირადად ჩემს შვილს - რომ არა ჩუღურეთის გამგეობა, დიაგნოზი არ ექნებოდა დღეს.

ამ წერილს მხოლოდ იმიტომ არ ვწერ, რომ მადლობა გითხრათ, სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც არ კარგავს, ამ წერილს უფრო იმიტომ ვწერ, რომ მინდა დანარჩენი რაიონების გამგეობებმაც ასე იმუშაონ, მინდა დანარჩენმა გამგეობებმაც იცოდნენ, რომ შეიძლება განცხადებებზე სწრაფად რეაგირება, დროულად დახმარება, პასუხის გაცემა, გულისხმიერების გამოჩენა...

სადაც გულია, კანონიც იქ კანონობს, თურმე...

თამუნა კუშელავა
555 46 08 04

## გიორგი კობახიძის პოეზიის საღამო სამეგრელო-ზემო სვანეთის მწერალთა ორგანიზაციაში

სამეგრელო-ზემო სვანეთის მწერალთა ორგანიზაციის ეგიდითა და უშუალოდ მისი ხელმძღვანელის, მწერალ შუკო ჯიქიას თაოსნობითა და ორგანიზირებით 20 იანვარს ერთი ლამაზი შემოქმედებითი დღე ჩაიწერა ზუგდიდის ისტორიაში. ქალაქს სტუმრობდა პოეტი, მთარგმნელი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბატონი გიორგი კობახიძე.

საღამო, რომელიც წმინდა ლიტერატურული ხასიათისა იყო, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დარბაზში ჩატარდა. ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრი“, ცენტრ „ოდიშთან“ არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე. ორგანიზაციულ საკითხებს ხელმძღვანელობდა ბატონი კახა ჯიქია. საღამო მიჰყავდა მწერალ ლაშა გვასალიას.

საღამოს ესწრებოდა პარლამენტარი მერაბ ქვარაია. გია კობახიძის პოეზიის საღამო გვიანობამდე გაგრძელდა და ახალი ფერებით შეავსო ზუგდიდელთა სულიერი ცხოვრება.

ფატი ნაჭყებია

# გიორგი კობახიძე - ლექსები

## შთაგონებით გაორება

ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ვორდები,
თითქოს ფანჯრიდან შემომყურებს მთვრალი სამყარო,
თავისთან მიხმობს სიყვარულით აშლილ ბოდვებით,
მთრთოლვარე ხელით სურს იები გადმომაყაროს.
ჩემზედ ბატონობს ობოლისთვის ჩვეული შიში,
შიში ფარული, უნდობლობა რა რომ თან ახლავს,
ფიქრს თავს ახსენებს გაბზარული ბეჭედი გიშრის
და მარტოობით კმაყოფილი ვნებდები დაღლას.
თუმცა ვიცი, რომ ეს არ არის განცდა მუდმივი,
ფერთა სიუხვით ხშირად მწყალობს რადგან განგება...
სევდა უბეში მიფათურებს ცივ ხელს ქურდივით
და ძლიერ მიჭირს სიხარულის არსის გაგება.
ასეთ დროს ხოლმე, ამჯერადაც, ღვინო მინდება,
მაგრამ არა ვსვამ, მენანება რადგან დათმობა
იმ სივრცის, სადაც ყოველივე წვეთ-წვეთ ფითრდება
და სულს, მით აღვსილს, ვერ ძლევს ყოფის უკუღმართობა.
ეს არის ჟამი მოლოდინის მსგავს ტკბილ ტკივილის,
... და გაიბმება პოეზიის მოლურჯო სიმი, -
მართალი, როგორც მშობიარე ქალის კივილი
და წმინდა, როგორც დაღვენთილი ხატის წინ ცვილი...
უმიზნოდ შთენილ საგნებს ბლანტი, უფერო სითხე
ეღვრებათ თითქოს... და ოცნება, მძიმე ცოდვებით,
არ ინანიებს უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს
და თეთრ ფურცელზე თავდახრილი თითქოს ვორდები.

## ღამის გრიგალში

ღამის გრიგალში დანგრეული მოჩანს სასახლე,
და ნანგრევებზე ობლად მავალ პოეტის ლანდი,
მთვარე აფარებს მწუხრის გლოვას ნისლის თხელ მანდილს
და მის მკრთალ შუქზე მარტოობას აქვს სულ სხვა სახე.
მთებს ზვავებს აგლეჯს დაკივლება ბრმა გამეტებით, -
გესლი, მუქარა, ისტერია,.. ათოვს ზამბახებს;
შორს, ნისლის ფრთაზე, დაფნე, შველად
გაწვდილ ხელებით...
ცრემლი და სისხლი...
მტვრად ქცეული მოჩანს სასახლე.
ქარმა ღრუბლებით გადაფარა ზეცის გუმბათი,
დადუმებული ღამის კალთა გიშრის თვლებს ბარდნის;
გრიალი მეხის... დაჭრილ ცაზე, ნისლში, სურათი:
მთვარით დაშვებულ ვერცხლის კიბეს მიჰყვება ლანდი.

## მოხვალ

დრონი ფრთამალნი ქრიან,
წყალნი მღვრიენი დიან,
ოდესმე მოხვალ, მჯერა,
მაგრამ იქნება გვიან.
ოდესმე მოხვალ, მჯერა,
მოხვალ ვით ბედისწერა,
წარსულ ელვათა ნაშთი,
ვერ გაგიხსენო, ვერა.
წარსულ ელვათა ნაშთი,
ის სალოცავი ხატი,
ლაწვზე შემშრალი ცრემლი
წარსულ ვნებათა ხვატით.
ლაწვზე შემშრალი ცრემლი,...
როგორც ხის ტოტი ხმელი
შეგუებული ხვალეს
ბოლო სუფსარქისს ელის,
შეგუებული ხვალეს
მოხვალ და გადამავლებ
ვედრებით მოციმციმე
დაღალულ ცისფერ თვალებს...
ყვითელ ფოთლების დარად
ოცნებებს დრო ქარს ატანს
დრო მოგონებებს ფანტავს
ყვითელ ფოთლების დარად.
დრონი ფრთამალნი ქრიან,
წყალნი მღვრიენი დიან,
ოდესმე მოხვალ, მჯერა,
მაგრამ იქნება გვიან.



* * *

„მიყვარხარო“ - გამოვტაცე თვალებს..,
თუ მღალატობს უღალატო ალღო?
- შეიძლება გვიან იყოს ხვალე!
სიმწრით მუშტს ვკრავ,
თითქოს ნაღველს ვალღობ.
დაგვაღამდა. — უმზეო ცას ვუმზერ,
ფიქრი ისევ კალაპოტში დგება,
სინანული მძიმედ მაწევს გულზე
და ქედს იხრის მოთოკილი ვნება.
... და დადგება განშორების წამი,
წამის მერე მონატრებაც მოვა,
ხვალეზე ფიქრს შეაცვდება ღამე,
თბილისის მთებს შეათეთრებს თოვა.

## ჩემი დღეები და ღამეები

უდაბნოს ყვითელ ქვიშაზე მსრბოლს,
როგორ ჰგავს ზებრას
ჩემი დღეები და ღამეები,
გადამტვერილი მოწყენილობის
ყვითელი ფერით...
სულის სიღრმეში ბავშვს ვუწყებ ძებნას, -
ვინძლო ავტირდე და ყოველი
წავშალო ცრემლით.





# ვანგა – დიდი წინასწარმეტყველი

„ნებისმიერ ჩვენგანს თვალს ადევნებს დიადი თვალი, რომელსაც არც ერთი ჩვენი ქმედება არასოდეს გამოეპარება, იგია უმაღლესი კოსმიური გონი, მე კი ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლი ვარ თქვენსა და მას შორის“ – ეს სიტყვები მეოცე საუკუნის ნოსტრადამუსს, ბრმა წინასწარმეტყველ ვანგას ეკუთვნის.

ვანგას ახლობლის გადმოცემით 1941-წელს ბრმა წინასწარმეტყველს თვით ჰიტლერი სტუმრობდა, კითხვაზე, იცოდა თუ არა ვინ იდგა მის წინაშე, ვანგამ უპასუხა – კაცი, რომლის უკან ტანკები და არმია დგას, უამრავი შეიარაღებული ადამიანი ემორჩილება და მხოლოდ ბოროტება და სიკვდილი მოაქვს, – მე კოსმიური მისია მაქვს გავწმინდო სამყარო – რა გინდა გაიგო ჩემგან?, – შენ გეცოდინება მე რაც მინდა, მიწინასწარმეტყველეს, რომ მოსკოვამდე მიხვალ, – დიახ, მიხვალ მაგრამ შემდეგ შენი ქვეყანა დაინგრევა, გადმოცემის თანახმად აღშფოთებულმა ჰიტლერმა ვანგას იარაღიც კი მოუღერა რის საპასუხოდაც მან უთხრა-ჩემი სიკვდილით არაფერი შეიცვლება. გაბრაზებულმა ფიურერმა სასწრაფოდ დატოვა შეხვედრის ადგილი ვანგამ კი ჩაილაპარაკა, რომ ზუსტად იმ იარაღით დაასრულებდა სიცოცხლეს ჰიტლერი რომელიც მას მოუღერა...ვანგას, რომ უზენაესი ძალები იცავდნენ და თავის ბედისწერის შესახებ ყველა დეტალი იყო მისთვის ცნობილი, ფაქტია. სხვათაშორის იმ წლებში როცა რწმენასაც ებრძოდნენ და „ჯადოსნობასაც„დედაქალაქში შესაბამის სამსახურს ვანგას ლიკვიდაციის ბრძანება გაუციათ და წერილი ოფიცრისთვის გაუტანებიათ, ოფიცერმა გაურკვეველი მიზეზით წერილი ადრესატამდე ვერ თუ არ მიიტანა და დავალების შეუსრულებლობის გამო დახვრიტეს. ვანგა კი დროებით დაივიწყეს. ვანგას უამრავი პოლიტიკოსი სტუმრობდა სხვადასხვა ქვეყნიდან. არსებული ცნობების თანახმად უარყოფით ინფორმაციებს ირიბი სახით გადაცემდა. ჩაუშესკოსთვის უთქვამს პირველი პირი გახდები, მაგრამ თავს დაკარგავო. ელცინის გამარჯვებაც იწინასწარმეტყველა და მისი პრესმდივანი გააფრთხილა გულისთვის მიეხედა, სწორედ რამოდენიმე ინფარქტის შემდგომ გარდაიცვალა ელცინი. ჟაკლინ კენედსაც დიდი სურვილი ჰქონია ვანგას წვეოდა, თითქოს გადაწყვეტილებაც მიიღო ბულგარეთში გამგზავრებულიყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზის გამო შესაბამისმა სამსახურმა გამგზავრება გადააფიქრებია... აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვანგას აუდიო ჩანაწერები თავისით იშლებოდა და მის ნაცვლად ადგილობრივი ჰანგები ჟღერდებოდა. ქვეყნის სპეცსამსახურები მაქსიმალურად ცდილობდნენ მის გაკონტროლებას და გამოყენებას. მისი ოჯახის წევრების გადმოცემით ვანგას გარდაცვალების შემდგომ სამი დიდი ყუთით, მისი კარნახით ჩაწერილი ინფორმაციები წაიღეს, რომელიც აღარ დაუბრუნებიათ. ვანგას წინასწარმეტყველება მითითებულ დრომდე სკეპტიკოსების გაკილვის და ირონიული დამოკიდებულების საგანი გახლდათ..ჯერ კიდევ 1980 წელს ვანგამ კურსკის ჩაძირვა იწინასწარმეტყველა. „კურსკი ზღვის ფსკერზე აღმოჩნდება და მთელი მსოფლიო დაიტირებს მას“ – ამბობდა იგი. ქალაქი კურსკი გეოგრაფიულად არც ზღვის, არც მდინარის ახლოს არ გახლავთ განლაგებული... თუმცა, როცა რუსული წყალქვეშა ატომური კრეისერი „კურსკი“ 2000 წლის 12 აგვისტოს რეაქტორის აფეთქების გამო, სრული საეკიპაჟო შემადგენლობით ჩაიძირა ბარენცის ზღვაში ინფორმაცია ვანგას უნიკალური ნიჭის შესახებ ბევრმა ირწმუნა. მან იწინასაწარმეტყველა სტალინის სიკვდილის თარიღი, საბჭოთა კავშირის დაშლა და შემდეგი საუკუნის პირველ მეოთხედში უფრო დიდ კავშირად აღორძინება, რომლის საზღვრებში ბულგარეთიც მოექცევა. ელცინის გამარჯვება, ჩერნობილის ტრაგედია, ტყუპების აფეთქება, რადიაქტიული ნარჩენების გამო. პლანეტის დიდ ნაწილის დაბინძურება. ფლორის და ფაუნის განადგურება.. ამის შემდეგ მუსულმანები იწყებენ დიდ ომს დარჩენილ ევროპელებთან. ეს იქნება ბირთვული ომი. – ხალხის უმეტესობა იქნება დაავადებული კიბოთი და სოკოთი.





ვანგას წინასწარმეტყველება მომავალ ასწლეულსაც ეხება რაც რასაკვირველია ძნელი დასაჯერებელია, თუმცა ნოსტრადამუსის თანამედროვეებსაც უჭირდათ ალბათ მომავალ ასწლეულებზე გათვლილი წინასწარმეტყველების დაჯერება.

ვანგას, გადმოცემის თანახმად ავადმყოფისთვის შეეძლო ზუსტი დიაგნოზი დაესვა და არატრადიციული მკურნალობის ფორმაც შეერჩია. იგი ამბობდა, რომ 2046 წელს შესაძლებელი იქნება ადამიანის ნებისმიერი ორგანოს შექმნა. ორგანოს შეცვლა ხდება მკურნალობის ყველაზე კარგი საშუალება. თუ ვანგას დავუჯერებთ არც მომავალი ასწლეულებში იქნება სიმშვიდე დედამიწაზე.

საინტერესოა ვანგას უკანასკნელი წინასწარმეტყველება რომელსაც სპეციალისტების გადმოცემით სამყარო უნდა შეეცვალა. 1996 წლის ივლისში (აგვისტოში გარდაიცვალა) დიდ წინასწარმეტყველს ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე მოუწვევია. მათ შორის საიდუმლო შეხვედრა შემდგარა. გადმოცემის თანახმად, პატრიარქს და ვანგას შორის ყოველთვის მტრული დამოკიდებულება არსებობდა. პატრიარქისთვის ვანგას დალუქული კონვერტი გადაუცია და უთქვამს წაეკითხა ისევ დაელუქა და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გამოექვეყნებია. პატრიარქი წერილის გაცნობის შემდეგ შოკში ჩავარდნილა და გული წასვლია. რა უკანასკნელი ინფორმაცია ეწერა ვანგას დღეს მხოლოდ ვარაუდების დონეზე მსჯელობენ. ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაწერას გადმოცემის თანახმად ვანგა თავის უმცროს დას ლუბკას კარნახობდა და ის წერდა. ერთ-ერთი ვერსიით მან იცოდა, რომ ფატიმას მესამე საიდუმლო რომელიც ლუსიამ 1943 წელს დაწერა, რომის პაპის თხოვნით და 1960 წელს უნდა გახსნილიყო. საგულისხმოა, რამოდენიმე თვის წინ, სენატორ კერის და რომის პაპის საიდუმლო შეხვედრა. რომელიც თვითმხილველების გადმოცემით, პაპის მიერ საიდუმლო არქივიდან დოკუმენტის გადაცემით და არცთუ სასიამოვნო საუბრით დასრულდა... ზუსტი ტექსტი რომელიც ვანგამ პატრიარქს გადასცა უცნობია, გადმოცემით კი, იმ მიწიერ ჯოჯოხეთში რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და მაჯლაჯუნების შესრულებით ხორუმს, იძულებით ვუყურებთ, მართლმადიდებლობას კი ცეცხლით და მახვილით ებრძვიან. საშინელი ღვთისრისხვა გადაუვლის დედამიწას, რომელიც სამი დღე და ღამე გაგრძელდება. ღვთის სასწაული გაანადგურებს მწვალებლების დიდ ნაწილს, გადარჩენილები ქრისტეს ირწმუნებენ. მორწმუნეები გადარჩებიან და ქვეყნად სიმშვიდე დაისადგურებს და გარკვეული პერიოდი ადამიანებს ცოდვისგან გაწმენდილ დედამიწაზე მოუწევთ ცხოვრება.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30



# პენსიონერი პრეზიდენტები

## ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრი სახლი დატოვა. სად აპირებს იგი მუშაობას და რას აკეთებდნენ პენსიაზე გასული მისი წინამორბედები?



### ჯიმი კარტერი

აშშ-ის 39-ე პრეზიდენტი ჯიმი კარტერი მხოლოდ ერთი ვადის განმავლობაში (1977-1981 წლები) მართავდა ქვეყანას. მან პოსტი რონალდ რეიგანს დაუთმო.

კარტერი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა. 1982 წლიდან ატლანტის ემორის ინსტიტუტში დაიწყო მოღვაწეობა. მოგვიანებით კი არასამთავრობო ინსტიტუტი — კარტერის ცენტრი დააარსა. იგი მომლაპარაკებლის სტატუსით წარმოადგენდა აშშ-ს კრიზისულ რეგიონებში — ჩრდილოეთ კორეაში, ეთიოპიაში, უგანდაში, ბოსნიასა და სუდანში. ამ მოღვაწეობისთვის ჯიმი კარტერს 2002 წელს ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა.

### ჯორჯ ბუში-უფროსი

ამერიკის 41-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უდიდესი კლანის მეთაური გახლდათ და პოლიტიკოსთა მთელი დინასტია აღზარდა. პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარ ვაჟიშვილებს უწევდა კონსულტაციებს და საკმაოდ წარმატებითაც. ჯორჯ ბუში-უმცროსი თეთრ სახლში ორი ვადით „დაბანაკდა“, ჯებ ბუში კი რვა წელი გახლდათ ფლორიდის გუბერნატორი და პრეზიდენტის პოსტზე სერიოზულ კანდიდატად განიხილებოდა, რომელსაც ობამა უნდა შეეცვალა. ბუში-უფროსი ლექციებს კითხულობს. ერთი ლექციიდან მიღებული მისი ჰონორარი 75 ათას დოლარს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ, ბუში-უფროსს პარკინსონის დაავადება აქვს, ხუთი წელია, პარაშუტით ხტომით არის დაკავებული. ასე იყო 2014 წელსაც, როდესაც მას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

### ბილ კლინტონი

ამერიკის 42-ე პრეზიდენტი იყო 1993-2001 წლებში. ბოლო არჩევნებამდე მასზე ხუმრობდნენ, რომ შესაძლოა, იგი ქვეყნის პირველი ლედი გამხდარიყო. 90-იან წლებში სუპერპოპულარული პოლიტიკოსი იყო — რად ღირს ბორის ელცინთან მისი ვიზიტები და მონიკა ლევინსკისთან ნაცნობობა... დრო გავიდა და ბილმა ცოლთან მოლაპარაკებების შემდეგ კლინტონის ფონდი გახსნა, რომლის მიზანი შიდსის ეპიდემიასთან, გლობალურ დათბობასთან, სიღარიბესთან და გარემოს ნგრევასთან ბრძოლაა. თავის დროზე კი გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის თხოვნით ბილ კლინტონი ჯორჯ ბუში-უმცროსთან ერთად ეხმარებოდა ჰაიტიზე მიწისძვრით დაზარალებულებს.



### ჯორჯ ბუში-უმცროსი

ამერიკის 43-ე პრეზიდენტზე, რომელიც ამ თანამდებობაზე 2001-დან 2009 წლამდე იმყოფებოდა, ძალიან ბევრს ხუმრობდნენ. პენსიაზე გასვლის შემდეგ ჯორჯმა დაწერა მემუარები სათაურით „მნიშვნელოვანი მომენტები“, რომელიც ბესტსელერად იქცა. ამჟამად იგი მონაწილეობას იღებს ტელეშოუებში, კონსულტაციებს უწევს პლიტიკოსებს და ლექციებს კითხულობს. 2013 წელს ბუში-უმცროსმა განაცხადა, რომ უნდა ხატვა შეისწავლოს და ცნობილი პოლიტიკოსების პორტრეტები დახატოს. როდესაც ჰაკერებმა მისი ფოსტა გატეხეს, იქ ჯორჯის ავტოპორტრეტი აღმოაჩინეს, რომელიც შიშველია გამოსახული.





### ბარაკ ობამა

ამერიკის 44-ე პრეზიდენტი (2009-2017 წლები) თეთრ სახლს დაემშვიდობა.

რას აპირებს ბარაკ ობამა? მან განაცხადა, რომ აპირებს ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მის უახლოეს გეგმებში შედის წიგნის დაწერა. ლიტერატურის აგენტები თვლიან, რომ რამდენიმე წიგნის დაბეჭდვა ობამას დაახლოებით 30 მილიონ დოლარამდე შემოსავალს მოუტანს. ბარაკ ობამას უნდა შექმნას საპრეზიდენტო ცენტრი, სადაც პოლიტიკურ ლიდერებს გამოზრდიან.

ბარაკ ობამას პენსია 250 ათასი დოლარია! პირველი საპენსიო გადარიცხვა ბარაკ ობამას ანგარიშზე მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მოხდება.

ყოფილი პრეზიდენტების ჯანრთელობაზეც სახელმწიფო ზრუნავს. ისინი სამხედრო ჰოსპიტალებზე არიან მიმაგრებული. სახელმწიფო ზრუნავს ასევე ექსპრეზიდენტის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალზე, ანაზღაურებს სატრანსპორტო და საფოსტო, კვების ხარჯებს, ლიმიტი წელიწადში 96 ათას დოლარს შეადგენს. სახელმწიფო გაიღებს პირადი დაცვის ხარჯებსაც — იცავენ პრეზიდენტს და მის შვილებსაც სრულწლოვანებამდე.

ობამა ოჯახთან ერთად ძვირადღირებულ სახლში გადავა, რომელიც 1928 წელს არის აშენებული.

### აშშ-ის სხვა ყოფილი პრეზიდენტები...

ყველაზე ხშირად ამერიკის პირველი პირები, თანამდებობის დატოვების შემდეგ საზოგადოებრივ მოღვაწეობას აგრძელებდნენ, მაგრამ პოლიტიკაში მაინც რჩებოდნენ. ისინი მონაწილეობდნენ პარტიის საქმიანობაში და მხარს უჭერდნენ ამა თუ იმ კანდიდატს. მაგრამ მათ შორის იყვნენ გამონაკლისებიც.





ამერიკის პირველი პრეზიდენტმა, ჯორჯ ვაშინგტონმა, რომელიც ქვეყნის სათავეში 1789-1979 წლებში იყო, მესამე ვადით პირველ პირად ყოფნაზე უარი განაცხადა. იგი ვისკის წარმოებით იყო დაკავებული. სწორედ მან გახადა ეს სასმელი ამერიკაში პოპულარული, რადგან ვისკის უმსხვილესი მწარმოებელი და გამსაღებელი გახდა.

ამერიკის მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი (1797-1801 წლები) მასაჩუსეტსის შტატში, კუინსიში გადავიდა, სადაც წიგნებს წერდა და ფერმერულ საქმიანობას ეწეოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების 27-ე პრეზიდენტი ჰოვარდ ტაფტი (1909-1913 წლები) პრეზიდენტის თანამდებობის დატოვების შემდეგ ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდა.

აშშ-ის 38-ე პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი (1974-1977 წლები) პენსიაზე გასვლის შემდეგ აქტიურად იყო დაკავებული ქველმოქმედებით, მან დიდი ხნის ოცნება აისრულა და გოლფის თამაში ისწავლა.

რონალდ რეიგანმა, ამერიკის მე-4 პრეზიდენტმა (1981-1989 წლები) ლოს-ანჟელესში სახლი იყიდა, რეგულარულად დადიოდა ეკლესიაში და იშვიათად გამოდიოდა რესპუბლიკელების ყრილობებზე. იგი 2004 წელს გარდაიცვალა ალცჰეიმერის დაავადებით.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22


**სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)**



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63



ISSN 2233-3983

**საერთო გაზეთი**
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com